პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
23 ივლისი
1939 წ.
№ 167 (5567)
ფასი 10 კაპ.

ბიბლიოთეკა

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო. კამათის დამთავრების შემდეგ სესიამ მოისმინა მომხსენებლის — საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის და საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებლის ამხ. ა. ვ. ჟორბენაძის საბოლოო სიტყვები.

სალამოს სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგის მეორე საკითხი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები (მომხსენებელი დეპუტატი ი. ყ. თავაძე). სესიამ ერთხმად აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო 32 კაცის შემადგენლობით და უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები 253 კაცის რაოდენობით.

განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობებში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ფრიად ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საკოლმეურნეო სოფელში. ეს დადგენილება ყველგან მიიღეს როგორც კოლმეურნეობათა აყვავებისათვის სტალინური ზრუნვის გამოხატულება.

პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ხელს ჰკიდებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილების პრაქტიკულად შესრულებას. შესდგა უკრაინის სს რესპუბლიკის მეცხოველეობის მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებანი. დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ამ თათბირზე უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გაკეთებულ მოხსენებას. ამ დღეებში გამოქვეყნდა თათბირის მონაწილეთა მიმართვა საბჭოთა კავშირის საკოლმეურნეო მეცხოველეობის ყველა მუშაკისადმი.

„საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეები, — ნათქვამია მიმართვაში, — მხურვალედ ესალმებიან საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და ადიდებენ დიდ სტალინს ჩვენზე, კოლმეურნეებზე მამობრივი მზრუნველობისათვის. როგორც მოსიყვარულე მამა ზრუნავს თავისი შვილებისათვის, ისე ამხანაგი სტალინი ზრუნავს ჩვენთვის. დიდი კოლმეურნული მადლობა მას!

სტალინური კანონი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების შესახებ არის სტალინური ზრუნვა ჩვენი ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებისათვის“.

ამ უბრალო და გულწრფელი სიტყვებით მარტო უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეთა აზრები და გრძნობები როდია გამოხატული. ასე ფიქრობენ მთელი საბჭოთა კავშირის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა უფართოესი მასები.

ყირიმის ასს რესპუბლიკის კოლაის რაიონის სასოფლო - სამეურნეო არტელ „მაიფელდის“ კოლმეურნეთა საერთო კრებამ, განიხილა რა პარტიისა და მთავრობის დადგენილება, გადასწყვიტა მოაწყოს მიმდინარე წელს სარძე-სასაქონლო ფერმა 150-200 სული მსხვილფეხი რქიანი პირუტყვისათვის. ორჯონიკიძის მხარის ლიბკნეხტის რაიონის კოლმეურნეობა „ბალტიისკი ფლოტში“, რომელსაც ხუთნახევარი ათასი ცხვარი ჰყავს, ეწყობა მეცხვარეობის კიდევ ერთი სპეციალურად საჯიშე ფერმა. ამ მიზნით შესყიდულ იქნება 1.000 ჯიშიანი ცხვარი.

ხელს ჰკიდებენ რა საზოგადოებრივი საარტელო მეცხოველეობის აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების რეალიზაციას, კოლმეურნეობები ანგარიშობენ თავიანთ რესურსებს, არკვევენ შესაძლებლობებს, ამყარებენ წესრიგს საძოვრებზე და მდელოებში, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს საკოლმეურნეო ჯოგის სულადობის გასადიდებლად. მეცხოველეობის მოწინავენი, სარეკორდო წველისა და პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობის ოსტატები, საოლქო და რესპუბლიკურ თათბირებზე ერთმანეთს უზიარებენ სტახანოვური მუშაობის გამოცდილებას, მეცხოველეობის ყველა მუშაკს უჩვენებენ, თუ როგორ უნდა იბრძოლონ საკოლმეურნეო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის აღმავლობისათვის.

ბევრი და სერიოზული მუშაობაა გასაწევი იმისათვის, რომ პირუტყვის სულადობის ზრდა კოლმეურნეობებში და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება მტკიცე და მყარი გახდეს. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა უზრუნველვყოთ პირუტყვის მაძღრად და თბილად გამოზამთრება.

უკვე ახლავე, ზაფხულში უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ შევქმნათ საკვების საჭირო მარაგი მთელი ზამთრისათვის, წესრიგში მოვიყვანოთ ძველი ბაკები და ავაშენოთ ახლები. მზრუნველი ხელმძღვანელები ასეც იქცევიან. ამ მხრივ საგულისხმოა გამოცდილება ორჯონიკიძის მხარის ლიბკნეხტის რაიონისა, სადაც ძლიერ განვითარებულია საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობა. რაიონის 42 კოლმეურნეობას აქვს მეცხოველეობის 132 ფერმა და მეფრინველეობის 36 ფერმა. ბევრ კოლმეურნეობას განზრახული აქვს მოაწყოს ახალი ფერმები. ზამთარში პირუტყვის შესანახავად საჭიროა 18.100 ტონა თივა და სხვა უხეში და წვნიანი საკვები. საკვების დამზადების ეს პროგრამა უკვე ვადაჭარბებით არის შესრულებული. საგაზაფხულო დასილოსების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, დამთავრებულია თიბვა, ხოლო ზოგიერთი კოლმეურნეობა თივას მეორედ სთიბავს. რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე დაამზადეს 22.500 ტონაზე მეტი საკვები.

მაგრამ ყველგან როდი იჩენენ ასეთ ყურადღებას საკვების მარაგის შექმნისადმი. არა ჩანს, რომ არხანგელსკის ოლქის ხელმძღვანელები ჯეროვნად იბრძოდნენ თიბვისა და დასილოსების გეგმების შესრულებისათვის. შარშანდელთან შედარებით, ოლქში 10 ივლისისათვის თივა მოთიბულია და საკვები დასილოსებულია ერთი-ორად ნაკლები. თივის გეგმა მხოლოდ 7,6 პროცენტით არის შესრულებული, მაშინ როცა ბალახი უნდა მოითიბოს 605 ათას ჰექტარ მდელოზე.

საკვების დამზადება უკეთ არც სმოლენსკის ოლქში მიმდინარეობს. თიბვის გეგმა აქ შესრულებულია სანახევროდ, ხოლო დასილოსების გეგმა—ამაზე უფრო ნაკლებადაც. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ სმოლენსკის ოლქში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის კოლმეურნეობებში. მთელ რიგ რაიონებში დღემდე არ არის ლიკვიდირებული სასაქონლო ფერმების პირუტყვის განიავება. მაგალითად, მეჩიოვსკის რაიონში ამ უკანასკნელ ხანს ფერმებიდან გაჰყიდეს სულ 200 მეწველი ძროხა. ამგვარი ფაქტები არის ოლქის სტოდოლიშჩეს და პრეჩისტოეს რაიონებშიც.

ოლქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების უპირველესი მოვალეობაა ამგვარი ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია.

ძალიან ჩამორჩენილია თივის აღების მუშაობა კაზახეთის სს რესპუბლიკაში, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში, ნოვოსიბირსკისა და ომსკის ოლქებში.

საგანგაშო მდგომარეობაა ძველი ბაკების რემონტის მიმდინარეობისა და ახალი ბაკების მშენებლობის მხრივ. არც სსრ კავშირის მიწსახკომმა, არც საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებებმა ზედმიწევნით არ იციან, თუ რა ხდება საკოლმეურნეო მეცხოველეობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანში. განსაკუთრებით არასახარბიელოა სსრ კავშირის მიწსახკომის მეცხოველეობის მთავარი სამმართველოს როლი. სამმართველომ, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას კოლმეურნეობებში, ბაკების რემონტი და მშენებლობა თვითდინებას მიანდო. სამმართველო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ უბრალო ინფორმაციასაც კი ვერ იღებს.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე სამიწათმოქმედო მუშაკებმა უნდა შეიგნონ, რომ ლაპარაკი საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის გეგმებზე, თუ იგი განმტკიცებული არ არის საქმით, ბრძოლით იმისათვის, რომ ზამთარში პირუტყვი უზრუნველჰყონ საკვებითა და თბილი სადგომებით, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულია და არსებითად წარმოადგენს ოპორტუნისტულ პრაქტიკას, რომელიც აძნელებს საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობას.

თიბვისა და დასილოსების გეგმები სავალდებულოა და უყოყმანოდ უნდა შესრულდეს. რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონებისა და თვითეული კოლმეურნეობის ღირსების საქმეა ბრძოლა ამ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, საკვების ახალი დამატებითი რესურსების მიღებისათვის.

კოლმეურნეობებში რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება წინ წავწიოთ და სულ უახლოეს დროში ხელშესახებ შედეგებს მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, ჩავაბათ მასში მეცხოველეობის ყველა მუშაკი უკლებლივ.

„ჩვენ, — სწერენ უკრაინის მეცხოველე კოლმეურნეები, — მოვუწოდებთ ყველა კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს, ფერმების მუშაკებს —მესაქონლეებს, მეჯინიბეებს, მეღორეებს, მწველავებს, მწყემსებს, სპეციალისტებსა და მეცნიერ მუშაკებს ხელი მოჰკიდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. თვით ჩვენ, შინდაბრუნებისას, ახალი ძალით შევუდგებით მუშაობას, რათა მოვაწყოთ შეჯიბრება ფერმისა ფერმასთან, კოლმეურნეობისა კოლმეურნეობასთან, რაიონისა რაიონთან იმისათვის, რომ საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების გეგმა, რაც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს, ვადაზე შესრულდეს.

მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, განამტკიცოთ შრომის დისციპლინა, უფრო ფართოდ გაშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, განავითაროთ საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობა. მივაღწიოთ ახალ-ახალ საკოლმეურნეო გამარჯვებას ჩვენი სამშობლოს სადიდებლად!“.

უკრაინის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა ეს მოწოდება ფრიად ცხოველ გამოხმაურებას ჰპოვებს საბჭოთა კავშირის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა უფართოეს მასებში. კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში, რომელიც ემზადება საყოველთაო სახალხო ზეიმისათვის — სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის გახსნისათვის.

უკრაინის კოლმეურნეთა მოწოდება დასაწყისს მისცემს მძლავრ სოციალისტურ შეჯიბრებას საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის, საზოგადოებრივი საარტელო მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, საკოლმეურნეო წყობილების ახალი გამარჯვებებისათვის.

„პრავდის“ მოწინავე, 22/VII.

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

22 ივლისის დილის სხდომა

22 ივლისს, დილით, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჩლამაზაშვილი.**

ამ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ლ. ა. რუხაძე** (წულუკიძის პირველი ოლქი, წულუკიძის რაიონი), **ქ. ვ. მორეტი** (საბურთალოს ოლქი, ქალ. თბილისი), **ს. მ. დონაძე** (უწერის ოლქი, ონის რაიონი), **ს. ს. ქსოვრელი** (კალინინის ოლქი, ქალ. თბილისი), **ა. ი. მგელაძე** (წითელ-წყაროს ოლქი, სიღნაღის რაიონი), **ქ. დ. ერისთავი**, (ქსუს ოლქი, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), **შ. ი. ჭანუყვაძე** (ოფურჩხეთის ოლქი, ქუთაისის რაიონი).

დეპუტატ **ვ. მ. პაქსაშვილის** წინადადებით, სესიამ მიიღო გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ. კამათის დამთავრების შემდეგ სესია ისმენს მომხსენებლის — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. **კ. ს. ციმაკურიძისა** და უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებლის დეპუტატ **ა. ვ. ჟორბენაძის** საბოლოო სიტყვებს.

სესია იღებს დეპუტატ **ა. ვ. ჟორბენაძის** წინადადებას კენჭი ეყაროს სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავალთა და გასავალთა ნაწილების მიხედვით. ამის შემდეგ მტკიცდება საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სესია მუხლობრივი წაკითხვის წესით ერთხმად ამტკიცებს მუხლობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანად — „კანონს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

ამით იხურება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეოთხე სხდომა.

22 ივლისის სალამოს სხდომა

22 ივლისს, სალამოს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჩლამაზაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იხილავს სესიის დღის წესრიგის მეორე პუნქტს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები.

ქალაქ თბილისის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, სიღნაღის, გორისა და ჭიათურის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით დეპუტატი **ი. ყ. თავაძე** აკეთებს მოხსენებას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შესახებ და შეაქვს წინადადება დეპუტატთა იმავე ჯგუფის მიერ დასახელებულ კანდიდატთა შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას — არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო 32 კაცის შემადგენლობით.

უმაღლესი საბჭო პერსონალური კენჭისყრით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ ირჩევს ამხ. აკაკი ფარნაოზის-ძე **ჯავახიას** და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 31 წევრს.

თბილისის, აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, სიღნაღის, გორისა და ჭიათურის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით დეპუტატ **ი. ყ. თავაძეს** შეაქვს წინადადება — არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები 253 კაცის რაოდენობით. უმაღლესი საბჭო პერსონალური კენჭისყრით ირჩევს 253 სახალხო მსაჯულს.

ამით იხურება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეხუთე სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მეექვსე სხდომა შესდგება 23 ივლისს დილის 11 საათზე. (საქდესი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებულია 45 პავილიონი

გამოფენის მთავარი კომიტეტის კომისიამ მიიღო 45 ზონალური და დარგობრივი პავილიონი. 21 ივლისს მიიღეს ერთ-ერთი უდიდესი პავილიონი—„უკრაინა“. მზად არის პავილიონი „არქტიკა“.

ამჟამად ხდება გამოფენის მთელი ტერიტორიის გენერალური გასინჯვა. ამოწმებენ, თუ რამდენად მზად არის პავილიონები მომსვლელთა შესახვედრად, ამოწმებენ აგრეთვე სავაჭრო და სხვა სადგომებს, ექსპონატებს, დათესილ ნაკვეთებსა და ბაღებს. (საკდესი).

იაპონიის ჯარებმა კვლავ დაარღვიეს საზღვარი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან, მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების შტაბიდან მიღებული ცნობით, 12-დან 20 ივლისამდე ბუირ-ნურის ტბის რაიონში იაპონია-მანჯურიის ჯარები, რომლებიც განსაკუთრებულ აქტივობას არ იჩენდნენ, ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს ესროდნენ მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების პოზიციებს მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთით. მხოლოდ 12 ივლისს ღამით ნომონ კან ბურდ ობოს სამხრეთ-დასავლეთის უბანზე იაპონიის ქვეითი ჯარის რაზმმა, დაახლოვებით ერთმა ბატალიონმა, არტილერიის დახმარებით სცადა შეჭრა მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების განლაგებაში, მაგრამ მას გარს შემოერტყნენ მონღოლეთ-საბჭოთა ჯარები და მთლიანად გაანადგურეს. ბრძოლის ადგილზე დარჩა იაპონელთა 100-ზე მეტი გვამი, 4 სამდუიმიანი ქვემეხი, 8 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 500 ჭურვი, 5 დაზგიანი ტყვიამფრქვევი და სხვა იარაღი, რაც ხელთ იგდეს მონღოლეთ-საბჭოთა ჯარებმა. მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების დანაკლისი უმნიშვნელო იყო.

21 და 22 ივლისს გაძლიერდა აქტიური მოქმედება იაპონია-მანჯურიის ჯარებისა, რომლებმაც რამდენჯერმე სცადეს მონღოლეთ-საბჭოთა ჯარებზე იერიშის მიტანა, მაგრამ მათი შეტევა ყოველთვის მოგერიებულ იქნა.

მონღოლეთ - საბჭოთა ჯარები მტკიცედ ინარჩუნებენ ადგილს მდინარე ხალხინ გოლის აღმოსავლეთით.

12-20 ივლისის განმავლობაში იაპონიის ავიაცია ეწეოდა მხოლოდ დაზვერვით საქმიანობას. მარტო ერთხელ, 16 ივლისს, ჰაერში გამოჩნდა იაპონიის 50-მდე გამანადგურებელი, რომლებმაც, შეამჩნიეს რა ჰაერში ასული მონღოლეთ-საბჭოთა ავიაცია, არ მიიღეს ბრძოლა და წავიდნენ თავიანთ ტერიტორიაზე.

21 ივლისს ბუირ-ნურის ტბის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში იაპონელებმა კვლავ დაარღვიეს საზღვარი მათი ავიაციის გადმოფრენით. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდა საჰაერო ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მანჯურიის სხვადასხვა რაიონებიდან თავმოყრილმა იაპონიის 120 გამანადგურებელმა. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის მხრით ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე გამანადგურებელმა. ბრძოლამ ერთ საათამდე გასტანა და დამთავრდა მანჯურიის ტერიტორიაზე იაპონია-მანჯურიის ავიაციის დევნით.

ამ საჰაერო ბრძოლაში მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ ჩამოაგდო იაპონიის 14 თვითმფრინავი, რომელთა ეკიპაჟებიდან 2 იაპონელი მფრინავი ცოცხლად არის წამოყვანილი ტყვედ. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ ამ ბრძოლაში დაკარგა 3 თვითმფრინავი.

ხმები მონღოლეთ-საბჭოთა თვითმფრინავების მიერ სადგურ ფულიაერდისათვის (ციციკარის მახლობლად) ყუმბარების დაშენის შესახებ, რასაც კვანტუნის არმიის შტაბი ავრცელებს, მონღოლეთ-საბჭოთა ჯარების სარდლობის განცხადებით, ბოროტად შეთითხნილ ჭორს წარმოადგენს. (საკდესი).

სკოლის დამსახურებულ მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 1272

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება შემდეგ ამხანაგებს:

1. აბდუშელიშვილს ვასილ გრიგოლის-ძეს — ქ. თბილისის 18 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
2. ავაქოვას ნინო დავითის ასულს — ქ. თბილისის 39 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
3. არუთინოვას ერნუი სტეფანეს ასულს — ქ. თბილისის 70 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
4. ავეტისიანს პარანცემა აბრამის ასულს — პილენკოვოს (აფხაზეთი) სომხური საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
5. ალნიაშვილს ნინო რომანის ასულს — ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის რუსულ ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
6. ბასარიას სიმონ პეტრეს-ძეს— ქ. სოხუმის პედსასწავლებლის მეთოდიკის და გეოგრაფიის მასწავლებელს.
7. ბაზილევიჩს ტაისა ოსეპის ასულს — მერხეულის (აფხაზეთი) ა/ს. საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.
8. ბეგიაშვილს ელენე სიმონის ასულს — ქ. თბილისის 10 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
9. ბალანჩივაძეს მარიამ იოსების ასულს — ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს.
10. ბურჯანაძეს ვერა კონსტანტინეს ასულს — ქ. თბილისის 20 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
11. ბურჯანაძეს ეკატერინე იოსების ასულს—ქ. თბილისის 18 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
12. ბახტაძეს ალექსანდრა კონდრატეს ასულს—ქ. თბილისის 8 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.
13. გოგიას პლატონ მიხეილის-ძეს — ქ. ოჩამჩირის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
14. გეორგობიანს ეკატერინე სიმონის ასულს — ქ. თბილისის 36 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
15. გიორგაძეს მიხეილ გიორგის-ძეს — ქ. თბილისის 80 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
16. გიგინეიშვილს მარგალიტა პორფილეს ასულს — ქ. თბილისის 34 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
17. გონიაშვილს ნატალია იოსების ასულს — ქ. თბილისის 19 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
18. გომელაურს ანდრია სოლომონის-ძეს — ქ. თბილისის 4 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
19. დახნოვიჩს სოფიო ალექსანდრეს ასულს — ქ. ბათუმის 26 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
20. დიდიას ეკატერინა ესტატეს ასულს — ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
21. დოლიძეს მარიამ გრიგოლის ასულს — ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
22. ეგოროვას ეკატერინე ივანეს ასულს — ქ. ბათუმის 2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
23. ვეკუას ნიკოლოზ გიორგის-ძეს — ქ. სოხუმის განათლების განყოფილების ინსპექტორს.
24. ვარდიაშვილს ბარბარე მათეს ასულს — ქ. თბილისის 18 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
25. ვიბორნოვს კუზმა ივანეს-ძეს — ქ. თბილისის 58 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.
26. ზედგენიძეს იაკობ სიმონის-ძეს — პერსონალურ პენსიონერს.
27. თვალაძეს მარიამ დიმიტრის ასულს — ქ. ბათუმის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
28. თაყაიშვილს ეკატერინე ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის 27 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
29. ისპანდიაროვას ევგენია იაკობის ასულს — ქ. თბილისის 70 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
30. კვაჭაძეს მიხეილ მოსეს-ძეს— ქ. ბათუმის 19 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
31. კონჯარიას სოკრატ ბერტყოს-ძეს — ქ. ოჩემჩირის რ/გ. საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
32. კირბაიას გრიგოლ ბახვას-ძეს — ოტობაიას (აფხაზეთი) საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
33. კაცაიას ბაგრატ ანტონის-ძეს — ქ. სოხუმის საშუალო სკოლის აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
34. კოლბაიას ილია ტიმოთეს-ძეს —ქ. სოხუმის 2 რუსული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
35. კეცბაიას ვლადიმერ კუზმას-ძეს — გალის პირველი ა/ს. საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
36. კალანდიას სიდონია ივანეს ასულს — ქ. თბილისის 30 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
37. კალანდაძეს ელენე ფილიპეს ასულს — ქ. თბილისის 8 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
38. კალანდაძეს ოლღა ანანიას ასულს — ქ. თბილისის 15 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს.
39. კოგანს მარიამ ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის 94 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
40. ლოლუას მარიამ ელიზბარის ასულს — ქ. ბათუმის, ლენინის სახელობის პედსასწავლებელთან არსებულ დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
41. ლევეცკაიას ოლღა კსავერის ასულს — ქ. თბილისის 47 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
42. მათვეევას მარიამ ვლადიმერის ასულს — ქ. ბათუმის 21 დაწყებითი სკოლის გამგეს.
43. მაციოვიჩს ეკატერინე მიხეილის ასულს — ქ. ბათუმის ლენინის სახელობის პედსასწავლებლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
44. მაგილნაიას მარიამ გაბრიელის ასულს — ქ. ბათუმის 26 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
45. ნოვოსტრუევას რაისა ნიკოლოზის ასულს — პილენკოვოს (აფხაზეთი) სომხური საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
46. ნიჟარაძეს ნინო სამსონის ასულს — ქ. თბილისის 27 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
47. ნიჟარაძეს ივანე თევდორეს-ძეს — ქ. თბილისის 1 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
48. ოკოროკოვას ბარბარე ერასტის ასულს — ქ. სოხუმის პედკაბინეტის გამგეს.
49. ორინიანსკაიას ანნა ივანეს ასულს — ქ. სოხუმის 7 არა სრული საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
50. პეტრენკოს ვერა ვასილის ასულს — ქ. სოხუმის 2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
51. პეტროსიანს აგანიკ გასპარის-ძეს — ქ. ახალი გაგრის სომხური ა/ს. საშუალო სკოლის დირექტორს.
52. პაშჩენკოს ალექსანდრა ვიქტორის ასულს — ქ. სოხუმის პედსასწავლებლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
53. პეტრაკოვსკაიას ტატიანა დანიელის ასულს — ქ. თბილისის 43 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
54. რურუას ფილიპე ისიდორეს-ძეს — ქ. თბილისის 26 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
55. სოლეიმეზოვს ქრისტეფორე გიორგის-ძეს — ქ. სოხუმის 2 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
56. სახაროვს გიორგი ვსევოლოდის-ძეს — ქ. გაგრის საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
57. სახაროვას ანტონინა ალექსანდრეს ასულს — ქ. გაგრის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
58. სიხარულიძეს თინა იაკობის ასულს — ქ. ბათუმის ლენინის სახელობის პედსასწავლებელთან არსებულ ა/ს. საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
59. სამადაშვილს ნინო ვლადიმერის ასულს — ქ. თბილისის 32 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
60. სიხარულიძეს ილია ლუკასძეს — ქ. თბილისის 1 საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
61. ტერ-ზაქარიანს გრიგოლ დავითის-ძეს — ქ. სოხუმის სომხური საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.
62. ტერ-გრიგორიანს სირანუშ სტეფანეს ასულს — ქ. თბილისის 94 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
63. ტიხამიროვას სოფიო ივანეს ასულს—ქ. თბილისის 47 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს.
64. ფროლოვას ანნა ივანეს ასულს — ქ. სოხუმის ბერიას სახელობის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
65. ფრანგიშვილს ნინო ვასილის ასულს — ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
66. ფალავანდიშვილს ელენე პეტრეს ასულს — ქ. თბილისის 35 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
67. ფაღავას ანნა პავლეს ასულს — ქ. თბილისის 1 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
68. ქართველიშვილს ბარბარე დავითის ასულს — ქ. თბილისის 3 საშუალო სკოლის რუსული ენის და და ლიტერატურის მასწავლებელს.
69. ქავთარაძეს ანნა ლუარსაბის ასულს — ქ. ბათუმის კრუპსკაიას სახელობის პედსასწავლებლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
70. ღვინიაშვილს არჩილ რომანოზის-ძეს — ქ. თბილისის 94 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
71. ყიფიანს მარიამ მიხეილის ასულს — ქ. თბილისის 29 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
72. შუშანიას თეოდოსი ალექსანდრეს ასულს — ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს.
73. შიუკაშვილს ელენე მიხეილის ასულს — ქ. თბილისის 18 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
74. შკურინას სოფიო ივანეს ასულს — ქ. ბათუმის 26 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
75. შიმანოვსკაიას მარიამ ივანეს ასულს — ერმოლოვკას (აფხაზეთი) საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
76. ჩოჩუას ანდრია მაქსიმეს-ძეს — აფხაზეთის დამსახურებულ პედაგოგს.
77. ჩომახიძეს ილარიონ სპირიდონის-ძეს — ქ. თბილისის 37 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.
78. ცაავას მაქსიმე ნიკოლოზის-ძეს—ქ. სოხუმის 5 ქართული საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
79. ციკოლიას სერაფიონ თენგიზის-ძეს — ქ. ოჩამჩირის რუსული ა/ს. საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
80. ჭეიშვილს დონია მიხეილის ასულს — ქ. ბათუმის 7 ა/ს. საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
81. ჭრელაშვილს მარიამ ასლანის ასულს — ქ. თბილისის 20 საშუალო სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
82. ძიძიგურს ვარლამ დავითის-ძეს — ქ. თბილისის მოზრდილთა საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.
83. ხარაზიას ვერა ნიკოლოზის ასულს — ქ. სოხუმის აფხაზეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს.
84. ხიმშიევას მარიამ ანტონის ასულს — ქ. თბილისის 63 საშ. სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელს.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
— ვ. ბაქრაძე

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვ. ადმასრ.
— ი. შელეგია

9 ივლისი, 1939 წ.

23 ივლისს, საღ. 7 საათზე, ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრში მოწვეულია

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის საერთო-საქალაქო საზეიმო კრება. სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით,

მიძღვნილი სსრ კავშირის სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღისადმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების და თბილისის საბჭოს დეპუტატები შედიან თავისი მანდატებით, დანარჩენი ამხანაგები — საშვები ბარათებით, რომლებსაც პარტიის რაიკომები იძლევიან.

კომისია.

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

სესიის 1939 წლის 20 ივლისის სხდომა

საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბიუჯეტო კომისიის წევრის დეპუტატ ა. ჯორბენაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წელი, სტალინური მესამე ხუთწლედის მეორე წელი, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც დიდ ისტორიულ მოვლენათა და ბრწყინვალე გამარჯვებათა წელი.

1939 წლის ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ჩვენი ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობა, რომელმაც დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის სტალინური პროგრამა. ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე წარმოადგენს უძვირფასეს საუნჯეს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. ეს მოხსენება ჩვენ გვიშუქებს გზას, გვაიარაღებს და გვამხნევებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის იმ გრანდიოზული გეგმების შესრულებაში, რომელიც პარტიის XVIII ყრილობამ დასახა.

ამხანაგმა სტალინმა ჩვენი პარტიის XVIII ყრილობაზე სთქვა: „მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ გავუსწარით წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა გავუსწროთ მათ აგრეთვე ეკონომიურადაც“.

საბჭოთა კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი აგებულია პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად და მკაფიოდ ასახავს ჩვენი სამშობლოს აყვავებას და უძლეველობას, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ეკონომიური და კულტურული დონის სწრაფ ზრდას. ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი, რომელიც ემყარება სახალხო მეურნეობის უდიდეს აღმავლობას, მტკიცე და ურყევი ბიუჯეტია, რომლის მსგავსი არ იცის არცერთმა ქვეყანამ მსოფლიოში.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და წარმოდგენილია სესიაზე დასამტკიცებლად, დაწვრილებით განიხილა საბიუჯეტო კომისიამ. საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი სავსებით შეეფერება იმ ამოცანებს, რომელიც დასახულ იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მიერ მე-3 ხუთწლედისათვის.

ბიუჯეტი სწორად ითვალისწინებს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ცალკე რაიონების საჭიროებებს.

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1939 წლის ბიუჯეტში სწორად არის განაწილებული სახსრები სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებისათვის — მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობაზე, კომუნალურ მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, ვაჭრობაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლებაზე და სხვა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. საერთოდ, სწორად არის აგებული და გაანგარიშებული ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები.

ყოველწლიურად იზრდება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტი.

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულია 1939 წლის ბიუჯეტი 1.156.207 ათასი მანეთის რაოდენობით. 1938 წლის საქართველოს ბიუჯეტის შესრულება შეადგენდა 1.069.096 ათას მანეთს.

ამრიგად, გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 87.111 ათასი მანეთით, ხოლო 1932 წელთან შედარებით 915.407 ათასი მანეთით, ანუ 480 პროცენტით.

საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტის ასეთი გიგანტური ზრდა შედეგია იმ უდიდესი მიღწევებისა, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სახალხო მეურნეობის და კულტურის განვითარების საქმეში.

საქართველო, რომელიც წინათ მეფის რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობის შედეგად გადაიქცა დიდი საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად.

ამჟამად საქართველო წარმოადგენს ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანას. შექმნილია მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობის, ელექტრო-ენერგეტიკული, ლითონის დამმუშავებელი, ნავთის, საფეიქრო, აბრეშუმის, ჩაის და სამთამადნო მრეწველობა. ნახშირის მრეწველობა გაიზარდა ერთიორად, ხოლო მარგანეცისა — ერთიოთხად და უფრო მეტად.

დღეს საქართველოს აქვს მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობა ისეთი ძვირფასი და მაღალშემოსავლიანი კულტურებით, როგორიცაა ციტრუსები, ჩაი, თამბაქო, დაფნა, ევკალიპტი, ტუნგო და სხვ. კოლმეურნეობანი — განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად. საკოლმეურნეო გლეხობა მტკიცედ დაადგა შეძლებული, კულტურული ცხოვრების გზას.

ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ციმაკურიძემ თავის მოხსენებაში მოიყვანა ციფრები, რომლებიც მოწმობენ საქართველოს სახალხო მეურნეობის კულტურის ზრდას და მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობას. მე მგონია, ამ ციფრების განმეორება საჭირო არ არის.

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წელს ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სახალხო მეურნეობა და კულტურა კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიწევს.

თქვენ უთუოდ მიაქცევდით ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის მთავარ საშემოსავლო წყაროს ბრუნვის გადასახადი და მოგების ანარიცხები შეადგენს. ეს შემოსავალი ბიუჯეტში 877.454 ათასი მანეთის რაოდენობით არის გათვალისწინებული, ხოლო ბიუჯეტის ყველა დანარჩენი საშემოსავლო წყაროები შეადგენენ 278.753 ათას მანეთს. ეს ციფრები სახალხო მეურნეობის პროდუქციის გამოშვების, საქონლის მიმოქცევის და მოხმარების დიდი ზრდის მაჩვენებელია. ხაზი უნდა გაესვას იმ დადებით მოვლენას, რომელზედაც აგრეთვე შეჩერდა თავის მოხსენებაში ამხ. ციმაკურიძე. 1939 წლის ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის ხვედრითი წონა, რომელიც საკავშირო ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროს წარმოადგენს, 1938 წელთან შედარებით შემცირებულია 33.341 ათასი მანეთით ანუ 7%-ით რესპუბლიკის საკუთარი საშემოსავლო წყაროების ზრდის ანგარიშზე. რა არის საჭირო იმისათვის, რომ შესრულდეს ბიუჯეტის შემოსავალი? საჭიროა ყველა ჩვენმა სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციებმა ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობა გააჩაღონ პროდუქციის გამოშვების გეგმების, თვითღირებულების შემცირების, საქონლის მიმოქცევის და დაგროვების გეგმების აუცილებელი შესრულებისათვის.

საფინანსო ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა ამ მიმართულებით. მათ უნდა დააწესონ მტკიცე კონტროლი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაზე. საფინანსო ორგანოებმა დროზე უნდა მიიღონ საჭირო ზომები სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა ლიკვიდაციისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო ორგანოების კონტროლი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაზე დღემდე ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ხშირად ისინი ძალიან დაგვიანებით აღნიშნავენ გეგმების შეუსრულებლობის და ზარალიანობის ფაქტებს, რაც საქმეს ნაკლებად შველის.

ცნობილია, თუ როგორ აქტიურად უჭერენ მხარს მშრომელთა მასები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სესხს. მათ კარგად ესმით, რომ საბჭოთა სესხები ხმარდება სოციალისტური მეურნეობის და კულტურის ზრდას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების საქმეს. 1939 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში სახელმწიფო სესხების ანარიცხები შეადგენენ 49.700 ათას მანეთს, რაც 1938 წელთან შედარებით იძლევა ზრდას 22.967 ათასი მანეთით.

რით აიხსნება სახელმწიფო სესხების მონაწილეობის ზრდა ჩვენს ბიუჯეტში? ეს აიხსნება იმით, რომ გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი, გადიდდა ხელფასის ფონდი, საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხება ქალაქად გავრცელებული სესხის 50% ნაცვლად 25%-სა 1938 წელს, და სოფლად გავრცელებული სესხის 90%, ნაცვლად 50%-სა 1938 წელს. ჩვენი საფინანსო ორგანოები რომ უკეთ მუშაობდნენ, სახელმწიფო სესხი კიდევ უფრო მეტი წარმატებით გავრცელდებოდა მოსახლეობაში. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების და შემნახველი სალაროების მუშაობა ამ მიმართულებით. საჭიროა კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაცია ეყოს სახელმწიფო სესხებს მოსახლეობაში და გაფართოვდეს შემნახველი სალაროების ქსელი.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში გათვალისწინებული ხარჯები ნათლად მოწმობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სტალინურ მზრუნველობას მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, მათი მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტლივი ზრდისადმი.

ბიუჯეტის 70,3% ანუ 813.480 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. ეს ხარჯები 1938 წელთან შედარებით გაზრდილია 104.162 ათასი მანეთით, ანუ 14,7 პროცენტით. მარტო სახალხო განათლების ხარჯები შეადგენენ 545.912 ათას მანეთს, ანუ 71.520 ათასი მანეთით მეტს 1938 წელთან შედარებით. სახალხო ჯანმრთელობის დაცვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 204.396 ათასი მანეთი ანუ 19.921 ათასი მანეთით მეტი 1938 წელთან შედარებით. რაც შეეხება დაბანდებებს სახალხო მეურნეობაში, იგი კაპიტალური მშენებლობის გამოკლებით გაზრდილია 1938 წელთან შედარებით 14,7 პროცენტით. ბიუჯეტის ეს მაჩვენებლები თავისთავად მოწმობენ საქართველოს შემდგომ დიდ კულტურულ წინსვლას 1939 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ სავსებით სწორად არის გათვალისწინებული ეს ხარჯები ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს ქვეყანაში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების შედეგად ყველა ეროვნული უმცირესობისათვის უზრუნველყოფილია ეკონომიური და კულტურული აღორძინება. ამის ნათელ სურათს იძლევა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის 1939 წლის ბიუჯეტები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 77.511 ათას მანეთს. 1938 წელთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 4 მილიონი მანეთით. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე იხარჯება 58.970 ათასი მანეთი ანუ ბიუჯეტის 77 პროცენტი. 1938 წელთან შედარებით ხარჯები სოცკულტურულ ღონისძიებებზე იზრდება 3.583 ათასი მანეთით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 54.202 ათას მანეთს, რაც 8.747 ათასით მეტია 1938 წლის ბიუჯეტზე. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 40.275 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის 74,6%. 1938 წელთან შედარებით ეს ხარჯები იზრდება 8.574 ათასი მანეთით.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის 1939 წლის ბიუჯეტი შეიცავს 30.603 ათას მანეთს, რაც 3.358 ათასი მანეთით მეტია 1938 წლის ბიუჯეტზე. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე უნდა დაიხარჯოს 24.475 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის 81 პროცენტი. ამ ღონისძიებებზე 1938 წელთან შედარებით ხარჯები იზრდება 4.184 ათასი მანეთით.

საბიუჯეტო კომისიამ, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოების, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებთან ერთად, დეტალურად განიხილა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი და შესაძლოდ სცნო შეიტანოს მასში შემდეგი შესწორებანი:

საშემოსავლო ნაწილში:

გადიდდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის საერთო ჯამი 2.675 ათასი მანეთით. მათ შორის: რესპუბლიკურ ბიუჯეტში 578 ათასი მანეთით და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტში 2.097 ათასი მანეთით.

შემოსავლის ცალკე წყაროების მიხედვით:

ა) სატყეო შემოსავალი . . .	1.225 ათასი მანეთი
ბ) ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავალი	482 ათასი მანეთი
გ) 1938 წლის ბიუჯეტთა ნაშთი .	392 ათასი მანეთი
დ) მოგების ანარიცხები . . .	233 ათასი მანეთი
ე) სხვადასხვა შემოსავალი . .	345 ათასი მანეთი

განვიხილოთ ეს წყაროები ცალცალკე. დამატებითი სატყეო შემოსავალი 1.225 ათასი მანეთის რაოდენობით განაწილდება შემდეგნაირად: აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა—100 ათასი მანეთი; აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა—50 ათასი მან.; სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი — 45 ათასი მანეთი და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 22 რაიონი — 1.030 ათასი მან. ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავალი შედგება ციტრუსებისა და ხილის დამამზადებელი ორგანიზაციების ანარიცხებიდან აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში 450 ათასი მანეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში 32 ათასი მანეთის რაოდენობით.

1938 წლის ბიუჯეტის ნაშთი 392 ათასი მანეთის რაოდენობით წარმოადგენს თბილისის ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო ნაშთს 1939 წლის 1 იანვრისათვის; ეს თანხა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს ფინსახკომის მიერ არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტის შემოსავალში.

მოგების ანარიცხები 233 ათასი მანეთის რაოდენობით წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ანარიცხებს 1938 წლის მოგებათა იმ ნაწილიდან, რომელიც აგრეთვე არ იყო აღნუსხული საქართველოს ფინსახკომის მიერ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას. გათვალისწინებული სხვადასხვა შემოსავლის გადიდება 345 ათასი მანეთის რაოდენობით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის 1939 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ემყარება წინა წლების ასეთი სახის შემოსავლის ფაქტიურ რაოდენობას და 1939 წლის პირველი ნახევრის ფაქტიურ შემოსავალს.

საგასავლო ნაწილში:

გადიდებულ იქნეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალთა საერთო ჯამი 2.675 ათასი მანეთის რაოდენობით, ესე იგი იმ თანხით, რომლითაც გადიდებულია საშემოსავლო ნაწილი, მათ შორის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტში 578 ათასი მანეთით და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტში 2.097 ათასი მანეთით.

რესპუბლიკურ ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული ხარჯები 578 ათასი მანეთის რაოდენობით მთლიანად მოხმარდება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს. დანარჩენი თანხა 2.097 ათასი მანეთი განაწილებულია ავტონომიურ რესპუბლიკებისა და რაიონების ბიუჯეტებზე და მოხმარდება:

ა) კომუნალურ მეურნეობას	95 ათასი მან.
ბ) სოც.-კულტურულ ღონისძიებებს . .	332 ათასი მან.
გ) რაიონული აღმასკომების აპარატების შენახვას	138 ათასი მან.
დ) სასოფლო საბჭოებისა და რაიაღმასკომების შენობების შეკეთებას	172 ათასი მან.
ე) ადგილობრივ საბჭოებში პოლიტიკური კამპანიების ჩატარებას	436 ათასი მან.
ვ) ადგილობრივი საბჭოების სხვადასხვა ხარჯებს	924 ათასი მან.

საბიუჯეტო კომისიამ დეტალურად განიხილა აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები და შესაძლებლად სცნო მათში შემდეგი შესწორებების შეტანა:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობა გადიდდეს 184 ათასი მანეთით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობა გადიდდეს 147 ათასი მანეთით.

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის მოცულობა გადიდდეს 166 ათასი მანეთით.

ყველა ამ შესწორებათა შემდეგ, თუ კი ისინი მიღებული იქნებიან უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტი შეადგენს:

შემოსავალში	1.158.882 ათას მანეთს.
გასავალში	1.158.882 ათას მანეთს.

მათ შორის:

რესპუბლიკური ბიუჯეტი 490.580 ათასი მანეთის მოცულობით და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტები 668.302 ათასი მანეთის მოცულობით.

ამხანაგო დეპუტატებო! ასეთი ბიუჯეტი, რომელიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვით, შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც თვითონ ხალხია ქვეყნის ბატონპატრონი, სადაც მშრომელებს სათავეში უდგას ლენინ-სტალინის დიადი პარტია. ასეთი მტკიცე ბიუჯეტი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირს, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წინ მიდის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

ჩვენი ბიუჯეტი ემყარება აყვავებულ სოციალისტურ სახალხო მეურნეობას. ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს გამარჯვებები, ჩვენი სამეურნეო და კულტურული აყვავება განუყრელად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინის ერთგული მოწაფის, ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელთან. (**მქუხარე ტაში**).

ამხანაგმა ბერიამ, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა, უზრუნველჰყო ამხანაგ სტალინის მითითებათა ურყევად გატარება.

ამხანაგმა ბერიამ გამოზარდა ათასობით ახალი კადრები. ხალხისა და პარტიისათვის თავდადებული ადამიანები, რომლებიც წარმატებით უძღვებიან სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წლის ბიუჯეტი შესრულებული იქნება იმ პირობით, თუ ჩვენ წარმატებით შევასრულებთ საწარმოო-საფინანსო გეგმებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თუ ჩვენი სახალხო კომისარიატები, სამეურნეო ორგანიზაციები მობილიზაციას გაუკეთებენ შინაგან რესურსებს, გასწევენ მომჭირნეობას, არ დაუშვებენ უყაირათობას და მტკიცედ დაიცავენ საბიუჯეტო დისციპლინას. აღმოფხვრილი უნდა იქნეს საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

1938 წელს მთელმა რიგმა რაიონებმა, მაგალითად: ბლბულაღის, ბაღდათის, ბაშკიჩეთის, გურჯაანის, თბილისის, ზესტაფონის, თელავის, თიანეთის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, კასპის და საგარეჯოს რაიონებმა არ შეასრულეს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და ამის გამო ვერ დააფინანსეს სოც.-კულტურული ღონისძიებები გათვალისწინებული გეგმით. ამავე დროს დაუშვეს ადმინისტრატიული და მმართველობის ხარჯების გადიდება 16-დან 50 პროცენტამდე. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაში ყველაზე მეტი დარღვევები აქვთ: ბაშკიჩეთის რაიონს—216 ათასი მანეთით, გურჯაანის რაიონს—707 ათასი მანეთით, თბილისის რაიონს—794 ათასი მანეთით, ზესტაფონის რაიონს—532 ათასი მანეთით, ხაშურის რაიონს—688 ათასი მანეთით.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ციმაკურიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1937 წელს განათლებისა და ჯანმრთელობის ხაზით გათვალისწინებული თანხებიდან აუთვისებელი დარჩა 28.800 ათასი მანეთი, ამავე დროს ადგილობრივ ბიუჯეტში ადგილი ჰქონდა მმართველობის ხარჯების გადიდებას 3 მილიონზე მეტით. სავაჭრო ორგანიზაციებმა უხეირო მუშაობის შედეგად საბიუჯეტო წელი, ნაცვლად 11.730 ათასი მანეთის მოგებისა, საგრძნობი ზარალით დაამთავრეს. ადგილი ჰქონდა ხელფასის საგრძნობ გადახარჯვას. ბიუჯეტის შესრულების საქმეში არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ადგილი ჰქონდა 1938 წელსაც.

1938 წელს არ შეასრულეს სამეურნეო ღონისძიებების დაფინანსების გეგმა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 750 ათასი მანეთით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—620 ათასი მანეთით, მიწსახკომმა—2.444 ათასი მანეთით.

განათლების კომისარიატის ხაზით რესპუბლიკაში არ იქნა ათვისებული 1938 წლის ბიუჯეტიდან 15.324 ათასი მანეთი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12.184 ათასი მანეთი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა არ აითვისა 13.610 ათასი მანითი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტით 10.398 ათასი მანეთი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატს არ მიუღია საკმაო ზომები სახელმწიფო ბიუჯეტში ზემოაღნიშნულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს; იგი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის ბიუჯეტის შესრულებისათვის, არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს და ვერ უწევს საჭირო კონტროლს სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობას.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1938 წლის 17 დეკემბერს მოისმინა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის რევიზიის შედეგები და მიიღო დადგენილება ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს ფინსახკომმა უნდა გარდაჰქმნას თავისი მუშაობა, ცოცხალი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს.

ასეთია საბიუჯეტო კომისიის დასკვნა, შენიშვნები და წინადადებები საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტის გარშემო.

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წლის ბიუჯეტი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის საუკეთესო მაჩვენებელია. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით ასახავს XVIII პარტიული ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. საბჭოთა კავშირის მშრომელები ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვებენ ახალ და ახალ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკურ ძლევამოსილებას და თავდაცვით უნარიანობას. ამის თავდებია ხალხის ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნიზმის მესაჭის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

გაუმარჯოს დიდ **სტალინს**.—(**მქუხარე ხანგრძლივი ტაში, ოვაციები, ყველანი ფეხზე დგებიან**).

კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

დეპუტატ ვ. ი. ხუბაევის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიისათვის განსახილველად წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა შედგენილია სსრ კავშირის 1939 წლის ბიუჯეტის სრულ შესაბამისად, ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და დიდი სტალინის მითითებათა სრულ შესაბამისად.

საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა საწინდარია ჩვენი რესპუბლიკის განუხრელი წინსვლისა და შემდგომი წარმატებისა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ჩვენი საბჭოთა ბიუჯეტი ასახავს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიად პრინციპებს და უზრუნველჰყოფს ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყოველწლიურ ზრდას.

ჩვენი საბჭოთა ბიუჯეტი ასახავს ბოლშევიკების პარტიისა და პირადად დიდი სტალინის მუდმივ მზრუნველობას წინათ ჩამორჩენილი ხალხების მეურნეობისა და კულტურის აყვავებისათვის, მათი აყვანისათვის ჩვენი კავშირის მოწინავე ხალხთა დონემდე.

ეს დებულება ნათლად შეგვიძლია ცხადვყოთ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტზე.

თუ 1939 წელს ოლქის ბიუჯეტი შეადგენდა 5.507 ათას მანეთს, 1937 წელს მან უკვე შეადგინა 23.169 ათასი მანეთი, ესე-იგი ჩვენ გვქონდა ზრდა 4,2-ჯერ.

1938 წელს ოლქის ბიუჯეტი შეადგენდა 27.244 ათას მანეთს, რამაც 1937 წელთან შედარებით შეადგინა გადიდება 17,6 პროცენტით.

მიმდინარე წელს ოლქის ბიუჯეტი შეადგენს 30.769 ათას მანეთს, — ზრდა 1938 წელთან შედარებით უდრის 12,9 პროცენტს.

1938 წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 19.306 ათასი მანეთი, ანუ მთელი ბიუჯეტის 70,8 პროცენტი. მიმდინარე წელს ამ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 21.524 ათასი მანეთის დახარჯვა.

სამხრეთ-ოსეთი ჩამორჩენილი განაპირა კუთხიდან, რასაც ის წარსულში წარმოადგენდა, აყვავებულ მოწინავე ოლქად გადაიქცა.

ჩვენ გვაქვს 439 კოლმეურნეობა. 16.253 გლეხური კომლიდან კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 15.489 კომლი, ანუ ყველა კომლის 95,3 პროცენტი.

კოლმეურნეობებში მარტო მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი 29.699 ჰექტარს შეადგენს.

კოლმეურნეობებში შეძლებული ცხოვრება უდავო ფაქტი გახდა. გაიზარდნენ სოფლის ინტელიგენციის ახალი კადრები: კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მეცხოველეები, ტრაქტორისტები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები და სხვ.

ჩვენი კოლმეურნე გლეხობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ისტორიულ დადგენილებას „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ შეხვდა ღრმა კმაყოფილების გრძნობით, როგორც კოლმეურნეთა მიმართ პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობის გამოხატულებას, როგორც უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, მიმართულს კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების შემდგომი აღმავლობისაკენ. ოლქის კოლმეურნე გლეხობა აქტიურად მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ყველა დარღვევის გადაჭრით გამოსწორებაში.

ჩვენ არანაკლები მიღწევები გვაქვს მეცხოველეობის უბანზეც. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შეადგენს 80 ათას სულს, ანუ ზრდა 1933 წელთან შედარებით უდრის 165 პროცენტს. წვრილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შეადგენს დაახლოებით 130 ათას სულს, ანუ ზრდა 1933 წელთან შედარებით უდრის 166 პროცენტს.

ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს განათლების დარგში. 1939 წელს დაწყებითი სკოლების რაოდენობა ოლქში შეადგენს 282-ს ნაცვლად 1916 წლის 28-ისა, არასრული საშუალო სკოლებისა —47-ს ნაცვლად 1916 წლის 1-ისა, საშუალო სკოლებისა — 20. დაწყებითსა და საშუალო სკოლებში სწავლობს სულ 27.333 მოსწავლე, თუ არ ჩავთვლით ტექნიკუმებსა და სამასწავლებლო ინსტიტუტს. ფრიად დადებითი შედეგები მოგვცა ახალ ოსურ ალფაბეტზე გადასვლამ ქართული ალფაბეტის საფუძველზე.

მიმდინარე წელს დაწყებულია გორი—სტალინირის რკინიგზის მშენებლობა. მომავალ წელს ეს გზა გადაცემული იქნება საექსპლოატაციოდ. იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, თუ რა უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ გზას ჩვენი ოლქისათვის.

საოლქო ცენტრი-ქალაქი სტალინირი წლითიწლობით სულ უფრო-დაუფრო კეთილმოწყობილი ხდება, იქცევა სოციალისტურ ქალაქად: ჩვენ გვაქვს ახლად აგებული შენობები მთავრობის სახლისა და საოლქო საავადმყოფოსი, სასტუმროსი, გვაქვს წყალსადენი, ნაწილობრივი კანალიზაცია, კულტურისა და დასვენების პარკი და მიმდინარე წელს ვამთავრებთ სტალინირის ჰიდროელსადგურის მშენებლობას.

ყველა ეს შესანიშნავი მიღწევები შედეგია სახელოვანი ქართველი ხალხის დიდი ძმური დახმარებისა, შედეგია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა, შედეგია იმ განსაკუთრებული ყურადღებისა, რომელსაც ჩვენს ოლქს უთმობდა დიდი სტალინის სახელოვანი მოწაფე და თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია** (**ტაში**).

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის 1939 წლის ბიუჯეტი 30.769 ათასი მანეთის რაოდენობით სავსებით უზრუნველჰყოფს ჩვენი ოლქის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების შემდგომ აყვავებას.

მაგრამ საჭიროა ფინსახკომმა მხედველობაში მიიღოს რამდენიმე შენიშვნა ბიუჯეტის შესახებ.

ჩვენი მზარდი სასოფლო მეურნეობა ჯერ კიდევ სრულად არ არის უზრუნველყოფილი საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებით. იმ სასწავლებლებიდან, რომლებიც ასეთ კადრებს ამზადებენ, ოლქში გვაქვს მხოლოდ ზოოტექნიკუმი, რომელიც სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი არც საკლასო შენობებით, არც სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებით.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მიწსახკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს ამ ობიექტს, რის შედეგადაც ჩვენ ვერ ვიღებთ სათანადო კვალიფიკაციის კადრებს. ჩვენ არაერთხელ დაგვიყენებია საკითხი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ზოოტექნიკუმის ბაზაზე სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის შექმნა მემინდვრეობისა და ზოოტექნიკური განყოფილებებით. მაგრამ ეს საკითხი დღემდე არ გადაჭრილა დადებითად. საჭიროა მიწსახკომის ხაზით ახლავე გადიდებულ იქნას სახსრები მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად, რათა 1940 წლიდან შეიძლებოდეს ამ ობიექტის მშენებლობის დაწყება.

საოლქო ცენტრი — ქალაქი სტალინირი წლითიწლობით იზრდება, იგი ამჟამად ითვლის 14 ათას მცხოვრებს. ჩვენ განვიცდით საბინაო ფონდის მწვავე ნაკლებობას. ამ ფონდის გასადიდებლად გადადებული არ არის საკმაო სახსრები. მიმდინარე წელს საჭიროა გადადებულ იქნას 150 ათასი მანეთი ყოფილი ღარიბკომის საცხოვრებელი სახლის დასამთავრებლად, რომელიც მრავალი წლიწადია შენდება, აგრეთვე 100 000 მანეთით გადიდებულ იქნას ლიმიტსგარეში ხარჯები ქუჩების მოსაკირწყლავად.

ლიმიტსგარეშე ხარჯებისათვის ყოველწლიურად გათვალისწინებული ასიგნობა 25 ათასი მანეთის რაოდენობით რაიონული ცენტრების კეთილმოსაწყობად საკმაო ეფექტს არ იძლევა; ამ ლიმიტების გადიდების შეუძლებლობის დროს უკეთესი იქნებოდა ადგილობრივ ორგანოებს მისცემოდათ უფლება ამ სახსრებისათვის ყოველწლიურად მოეყარათ თავი ერთ რომელიმე რაიონულ ცენტრში ამ დაბანდებათაგან საგრძნობი შედეგის მისაღებად.

შემდეგში საჭიროა ფინსახკომმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს რაიონულ ცენტრებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის საჭირო დაბანდებათა გადიდების აუცილებლობას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 1.156.207 ათასი მანეთის რაოდენობით მძლავრი იარაღია ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში, მესამე სტალინური ხუთწლედის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში.

მე შემომაქვს წინადადება: მიღებულ იქნას საქართველოს სსრ 1939 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტი საქართველოს უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყველა ღონისძიებას იხმარენ, რათა სახელმწიფო ბიუჯეტი აუცილებლად იქნას შესრულებული. და იგი შესრულებულ იქნება. ამის საწინდარია ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ზრუნვა.

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!** (**მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან**).

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

სესიის 1939 წლის 21 ივლისის სხდომა

კამათი საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ ს. გ. ბაზანდარაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოუდგინა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

1939 წლის ბიუჯეტი მთლიანად უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია ჩვენს წინაშე მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმით, ამოცანებს, რომლებიც დაგვისახა თავის ისტორიულ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდმა მასწავლებელმა და ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა**.

საქ. სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი მჭერმეტყველურად მოწმობს უდიდეს მიღწევებს, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ ლენინ-სტალინის პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. იგი მთლიანად შეესაბამება მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას.

საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მიღებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1 მილიარდი 156 მილიონი 207 ათასი მანეთის რაოდენობით. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენებიდან ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ როგორ იზრდება წლითიწლობით ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1938 წლის შემოსავალთან შედარებით იზრდება 75 მილიონი 588 ათასი მანეთით, ანუ 7 პროცენტით.

როგორც ვიცით, ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში დიდი ადგილი უჭირავს ბრუნვიდან გადასახადის ანარიცხებს და მოგებიდან ანარიცხებს. მარტო ბრუნვიდან გადასახადი 1939 წლისათვის რესპუბლიკაში განსაზღვრულია 1 მილიარდი 355,6 მილიონ მანეთით, რაც 1938 წელთან შედარებით 14,3 პროცენტით მეტია. საჭიროა ჩვენი სამეურნეო, სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაციები უფრო მტკიცედ იცავდნენ საფინანსო დისციპლინას, უფრო ენერგიულად იბრძოდნენ გეგმების ვადაზე და მთლიანად შესრულებისათვის. მაგრამ, როგორც მოხსენებიდან დავინახეთ, ბევრგან ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ეს უდავო ჭეშმარიტება. ამიტომ საჭიროა საქ. სსრ ფინსახკომმა უფრო მეტი კონტროლი და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

რესპუბლიკურ ბიუჯეტში გორის რაიონს არც თუ ისე პატარა ადგილი უჭირავს. გორის რაიონის 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი გათვალისწინებულია 12 მილიონი 997,1 ათასი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან დიდი ნაწილი ნავარაუდევია სახალხო განათლების, ჯანმრთელობისა და კომუნალური მეურნეობის საჭიროებათათვის.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევჩერდე ქალაქ გორის მშენებლობაზე. ჩვენ არც თუ ისე ცოტა გავაკეთეთ გასულ წელს გორის კეთილმოწყობისათვის, მისი საქართველოს უმშვენიერეს ქალაქად გადაქცევისათვის, მაგრამ წელს უფრო მეტი სამუშაოები მოგველის. ჩვენ, გორელ ბოლშევიკებს წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება—ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ იმ ქალაქში, სადაც დაირწა მშრომელთა კაცობრიობის დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** აკვანი, ვცხოვრობთ და ვმუშაობთ იქ, სადაც თავისი ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა **სტალინმა**. ეს გარემოება ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ისე როგორც შარშან, წელსაც ქალაქ გორში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სხვადასხვა სახის მშენებლობა. მიმდინარე წელს ვამთავრებთ თეატრისა და ახალი საშუალო სკოლის შენობების აგებას, ვამთავრებთ ქალაქის საბჭოს ათბინიანი სახლის მშენებლობას და სხვ. ასევე დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ისტორიული ძეგლის გორის ციხის რესტავრაციისათვის, მაგრამ მე აქ მინდა გავახსენო საქართველოს სსრ კომუნალურ მშენებლობის სახალხო კომისარიატს, რომ მან უფრო დროულად და საჭირო რაოდენობით მოგვაწოდოს საშენი მასალა.

ამხანაგო დეპუტატებო! 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მესამე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის სამეურნეო და ფინანსიური მუშაობის საბრძოლო პროგრამაა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ გორის რაიონი უკანასკნელ რიგებში არ იქნება ამ საბრძოლო პროგრამის შესრულებაში.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებული იქნება ისევე წარმატებით, როგორც სრულდება 1939 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა. ჩვენი ბიუჯეტის შესრულება კი ხელს შეუწყობს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავლისაკენ — კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. **(ტაში)**.

დეპუტატ გ. ი. არჯევანიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს II სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროექტი 1939 წლის ბიუჯეტისა, როგორც სარკე ისე ასახავს ორდენოსანი საქართველოს უდიდეს წარმატებებსა და მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ქართველმა ხალხმა მიაღწია ამ წარმატებებს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მიაღწია დიდი სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანია საბჭოთა საქართველოს მიერ უკანასკნელ წლებში მიღწეული წარმატებანი, როდესაც საქართველოს ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის ერთგული მოწაფე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახკომი ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

ბიუჯეტი ითვალისწინებს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფს სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებებს. მასში ასახულია ჩვენი რესპუბლიკის თვითეული რაიონის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი.

მაგალითისათვის შევჩერდები ბორჯომის რაიონზე. 1937 წელს რაიონული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 5.144.500 მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი შეადგენდა 5.117.900 მანეთს.

მე ხელთა მაქვს მასალა ჩვენი რაიონის 1931 წლის ბიუჯეტის შესახებ. 1931 და 1939 წლების ბიუჯეტების შედარება ცხადჰყოფს, თუ რა განსაცვიფრებელი ცვლილებანი მოხდა ჩვენს რაიონში.

1931 წელს რაიონის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენდა 958.700 მანეთს, ხოლო 1939 წლის ბიუჯეტის პროექტში იგი შეადგენს 6.504.900 მანეთს. ეს უდრის ზრდას 678,5 პროცენტით.

გაითვალისწინეს რა ფულადი სახსრების მობილიზაციის უდიდესი მნიშვნელობა, ბორჯომის რაიონის მუშაკები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ამ უბანზე გაიშალა.

ამხანაგო დეპუტატებო! ბიუჯეტის თვითეული ციფრი, მისი თვითეული კარი მოწმობს ჩვენ მიერ მიღწეულ წარმატებებს, მოწმობს პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის ზრუნვას საბჭოთა საქართველოს შემდგომი აყვავებისათვის.

წინადადება შემომაქვს მოწონებულ და მიღებულ იქნას ჩვენთვის წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ 1939 წლის ბიუჯეტისა.

სესიის გადაწყვეტილებას ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ აღფრთოვანებით შეხვდება მთელი ქართველი ხალხი, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ჩვენი მასწავლებლისა და ბელადის — დიდი სტალინის გარშემო.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ **სტალინს**! **(ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან)**.

დეპუტატ ნ. ი. გიგაური-ჩარკვიანის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შევიდა თავისი განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებში და სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიან გეგმაში დასახულია შემდგომი სამეურნეო, თავდაცვითი და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა და ზუსტად განსაზღვრულია საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში, განსაკუთრებით კი საქართველოს კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობის სათავეში ამხ. **ბერიას** ჩადგომის შემდეგ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის პოლიტიკისა და პარტიის ბელადის დიდი **სტალინის** პირადი მითითებების სწორი განხორციელების საფუძველზე ჩვენმა ორდენოსანმა რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია როგორც მრეწველობის განვითარებაში, ისე სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნასა და ქვეყნის კულტურულ მშენებლობაში.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ამხანაგ ბერიას მიერ მუშაობის სტალინურ ტრადიციებზეა აღზრდილი, ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებაში, აგრეთვე ქალაქის მშრომელი მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მათი კულტურული დონის ამაღლებაში, და ამ საფუძველზე უზრუნველჰყო ქალაქ თბილისის გადაქცევა რესპუბლიკის სანიმუშო და ღირსეულ დედაქალაქად.

პირველი სტალინური ხუთწლედის დასაწყისისათვის თბილისში ითვლებოდა მხოლოდ 88 სამრეწველო საწარმო, რომლებშიაც მუშაობდა 62 ათასამდე მუშა-მოსამსახურე. აღნიშნულ საწარმოთა საერთო პროდუქცია 1926-27 წლების უცვლელ ფასებში შეადგენდა 42,6 მილიონ მანეთს.

1939 წლის 1-ლი იანვრისათვის ქალაქ თბილისში ითვლება 184 სახელმწიფო-სამრეწველო საწარმო, სადაც მუშაობს 127 ათასამდე მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი და მოსამსახურე. ამ საწარმოთა საერთო პროდუქცია 1938 წელს შეადგენდა 334,4 მილიონ მანეთს.

ორი სტალინურ ხუთწლედის განმავლობაში ქალ. თბილისში ამუშავდა 20-ზე მეტი დიდი საწარმო, მათ შორის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, სადაც მუშაობს 1.200-მდე მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა სადაც მუშაობს 3½ ათასზე მეტი მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, „ცენტროლიტი", აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, მარგარინის ქარხანა, ქაღალდის ფაბრიკა, წისქვილკომბინატი, პურის საცხობი ორი ქარხანა და სხვ.

ამავე ხნის განმავლობაში რეკონსტრუირებულია მრავალი ძველი ფაბრიკა და ქარხანა.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - სარემონტო ქარხანა პირველ სტალინურ ხუთწლედამდე წელიწადში უშვებდა რემონტიდან 59 ორთქლმავალს, 63 სამგზავრო ვაგონს და 550 საბარგო ვაგონს.

1938 წელს კი რემონტიდან გამოშვებულია 563 ორთქლმავალი, 571 სამგზავრო ვაგონი და 3098 საბარგო ვაგონი. ქარხანაში მუშაობს 5 ათასამდე მუშა-მოსამსახურე, მათ რიცხვში: 225 ინჟინერი და ტექნიკოსი, მაშინ როდესაც პირველ სტალინურ ხუთწლედამდე ქარხანაში მუშაობდა 4 ინჟინერი, 12 ტექნიკოსი და 1.900 მუშა.

1939 წლისათვის დასახულია ამ ქარხნის რეკონსტრუქცია, რაზედაც დაიხარჯება 30 მილიონი მანეთი.

ამჟამად თბილისში შენდება მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმოები, როგორც, მაგალითად, სატრიკოტაჟო კომბინატი, რომლის ღირებულება შეადგენს 91 მილიონ მანეთს, მთელი სიმძლავრით მუშაობის დროს ეს კომბინატი დაამზადებს 200 მილიონამდე მანეთის პროდუქციას; შამპანური ღვინოების ქარხანა, რომლის წარმოების სიმძლავრე უდრის 4 მილიონ ბოთლ შამპანურს წელიწადში; ჩაის ასაწონი ფაბრიკა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 5 ათას ტონა ჩაის პროდუქციას; მუსიკალური ინსტრუმენტების კომბინატი, თბილისის თბოელექტროცენტრალი და სხვა საწარმოები.

სტალინურ ხუთწლედებამდე თბილისში იყო სულ 5 უმაღლესი სასწავლებელი, 104 საშუალო და არასრული საშუალო სკოლა, 21 ტექნიკუმი და მუშფაკი, 32 საბავშვო ბაღი, ხოლო სასწავლებლების საერთო რაოდენობა იმ დროს 162 ერთეულს აღწევდა.

1938-1939 სასწავლო წელს კი ქალაქში იყო 16 უმაღლესი სასწავლებელი, 105 საშუალო და არასრული საშუალო სკოლა, 58 ტექნიკუმი და მუშფაკი, 134 საბავშვო ბაღი, სასწავლებლების საერთო რაოდენობა აღწევდა 310 ერთეულს, რომლებშიც სწავლობდა 125.200 კაცი.

1938 წელს მხოლოდ თბილისის საბჭოს (უწყებათა გარდა) ბიუჯეტის მიხედვით სახალხო განათლების ყველა ღონისძიებაზე დახარჯულია 47.191 ათასი მანეთი, ანუ ქალაქის საბჭოს მთელი ბიუჯეტის 28 პროცენტი.

სტალინურ ხუთწლედებამდე ქალაქში იყო მხოლოდ 5 თეატრი და 9 უხმო კინოდანადგარი, ამჟამად ქალაქში არსებობს 16 თეატრი, 12 ხმოვანი კინოთეატრი, 75 კინოდანადგარი. ამასწინათ ამუშავდა 1000-ადგილიანი ახალი კინოთეატრი, წელს დასახულია ახალი 1000-ადგილიანი ცირკის შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თბილისში იყო ერთი კონსერვატორია და ერთი მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობდა 500-მდე კაცი. ამჟამად თბილისში არის მუსიკალური და სამხატვრო განათლების 24 სასწავლებელი, სადაც სწავლობს 8.000-მდე მოსწავლე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თბილისში იყო 11 ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების საერთო ფონდი შეადგენდა 50 ათასამდე ტომს. ამჟამად თბილისში არსებობს 30 ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების საერთო ფონდი აღწევს 5 მილიონ ტომს.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში თბილისში იყო 8 საავადმყოფო 2.022 საწოლით. 1938 წელს იყო 28 საავადმყოფო 35.500 საწოლით.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ქალაქში აშენდა 3 სამშობიარო სახლი 240 საწოლით, მიმდინარე წელს შენდება ერთი სამშობიარო სახლი 150 საწოლით.

ამჟამად ქალაქში არსებობს 44 ამბულატორია, პოლიკლინიკა და დისპანსერი, რომლებშიც არის 879 საექიმო თანამდებობა.

პირველი სტალინური ხუთწლედის დასაწყისში ქალაქში იყო ქალთა და ბავშვთათვის 10 კონსულტაცია 10 საექიმო თანამდებობით, ამჟამად გვაქვს ბავშვთა და ქალთა 31 კონსულტაცია 111 საექიმო თანამდებობით. პირველი ხუთწლედის დასაწყისში ქალაქში 7 საბავშვო ბაგა იყო 123 საწოლით, ამჟამად გვაქვს 42 საბავშვო ბაგა 2000-მდე საწოლით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის მარტო თბილისის საბჭოს 1937 წლის ბიუჯეტით დახარჯულია 44 მილიონი მანეთი, ანუ თბილისის საბჭოს მთელი ბიუჯეტის 25 პროცენტი, ნაცვლად 2½ მილიონი მანეთისა ანუ ქალაქის საბჭოს მთელი ბიუჯეტის 10 პროცენტისა, რაც ამ ღონისძიებებზე დახარჯული იყო 1927 წელს.

ორი ხუთწლედის განმავლობაში წყალსადენისა და წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციასა და გაფართოებაზე დახარჯულია 35 მილიონი მანეთი.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ქალაქის საკანალიზაციო ქსელის რეკონსტრუქციასა და გაფართოებაზე დაბანდებულია 7 მილიონ მანეთზე მეტი.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში ტრამვაის ცალმაგი ლიანდაგის სიგრძე შეადგენდა 63 კილომეტრს, საშუალოდ 147 მომქმედი ვაგონით. ამჟამად ტრამვაის ცალმაგი ხაზის სიგრძე აღწევს 85 კილომეტრს, მომქმედი ვაგონების საერთო რიცხვი შეადგენს 234. მარტო ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ტრამვაის ხაზის რეკონსტრუქციასა და გაფართოებაზე დაბანდებულია 40 მილიონამდე მანეთი.

1937 წელს თბილისში პირველად ამუშავდა ტროლეიბუსი, ამჟამად მოძრაობს 24 ტროლეიბუსი.

1932 წელს პირველად შემოღებულ იქნა თბილისში ავტობუსების მოძრაობა 3 ავტომანქანით. ამჟამად თბილისის ავტოტრესტს აქვს 70-მდე ავტობუსი და ტაქსი, 1938 წლის განმავლობაში გადაყვანილია 170 ათასამდე მგზავრი.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში ელექტროქსელის საერთო სიგრძე შეადგენდა 308 კილომეტრს, 20 ათასი აბონენტით. 1938 წელს ქსელის სიგრძემ მიაღწია 4.850 კილომეტრს 55 ათასი აბონენტით.

პირველი ხუთწლედის დასაწყისისათვის ქალაქის მწვანე ნარგავების ფართობი აღწევდა 40 ჰექტარს, ამჟამად ქალაქის გამწვანებული ფართობი აღწევს 300 ჰექტარს. 2 ხუთწლედის განმავლობაში ქალაქის გამწვანებაზე დახარჯულია 15 მილიონამდე მანეთი.

მესამე ხუთწლედის განმავლობაში ნავარაუდევია გამწვანებაზე 30 მილიონი მანეთის დახარჯვა იმ ანგარიშით, რომ მწვანე ნარგავების ფართობი გადიდდეს 440 ჰექტარით.

მე-3 ხუთწლედის გეგმით ქალაქის საგზაო მშენებლობისათვის გადადებულია 10 მილიონამდე მანეთი. ასფალტით დაიფარება 300 ათ. კვადრატულ მეტრამდე ქუჩა და ტროტუარი.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში თბილისის საბჭომ საბინაო მშენებლობაში დააბანდა 15 მილიონი მანეთი: საექსპლოატაციოდ გადაცემულია მთელი რიგი საცხოვრებელი სახლები. მესამე ხუთწლედის გეგმით ქალაქის საბინაო მეურნეობაში მხოლოდ თბილსაბჭოს სისტემაში ბანდდება 30 მილიონი მანეთი. ნავარაუდევია 42 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის გადაცემა საექსპლოატაციოდ.

1939 წ. პირველი იანვრისათვის ქალაქში ითვლება 1500 მაღაზია, რომლებიც ეკუთვნის მხოლოდდამხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობას და რომელთა საერთო საქონელბრუნვამ 1938 წელს შეადგინა 947 მილიონი მანეთი.

ქალაქში საქონელბრუნვის გეგმა 1939 წლისათვის შეადგენს 1 მილიარდ 106 მილიონ მანეთს.

თუ ქალაქის ბიუჯეტი 1933 წელს 60.421 ათას მანეთს უდრიდა, 1939 წელს ბიუჯეტის მოცულობა ნავარაუდევია 158.152 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც 1933 წელთან შედარებით შეადგენს ზრდას 261%-ით.

დიდი ზრდა გვაქვს მოსახლეობის ანაბრებისა და სესხების მოთავსების დარგში. მაგალითად: თუ 1937 წელს მოსახლეობის ანაბარი შეადგენდა 32.077 ათას მანეთს, 62.292 მეანაბრით, 1939 წელს ჩვენ გვაქვს 61.943 ათასი მანეთი ანაბარი და გვყავს 85.388 მეანაბრე.

ყოველივე ზემოხსენებული მოწმობს მოსახლეობის დიდ კულტურულ ზრდას.

ამხანაგებო! საქართველოს სსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ციფრები, წარმოდგენილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დასამტკიცებლად, ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო აყვავებას, ასახავენ მოსახლეობის კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის აღმავლობას, რომელიც ემყარება ჩვენი ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებს.

ვფიქრობ, გამოვთქვამ საერთო აზრს, თუ შემოვიტან წინადადებას, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი მოწონებულ და დამტკიცებულ იქნას. **(ტაში)**.

პ. სივკოვი

პოლკის კომისარი

ამხანაგი სტალინი და წითელი ფლოტი

1917-1920 წლების ამბებში ფლოტისა და მეზღვაურების მონაწილეობის არცერთ უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ მომენტს არ გაუვლია ამხანაგ სტალინის ყურადღების გარეშე. ლენინი და სტალინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ მეზღვაურთა რევოლუციურ თავდადებას და ეყრდნობოდნენ მათ პარტიის ამა თუ იმ ღონისძიების გატარების დროს.

ლენინის ყველა ხელმძღვანელი დირექტივები, მათ შორის ის დირექტივებიც, რომლებიც ეხებოდა ფრონტსა და მეზღვაურებს, გადიოდა ამხანაგ სტალინის ხელში, რომელიც აჯანყების ხელმძღვანელი პარტიული ცენტრის სათავეში იდგა.

სოციალისტური რევოლუცია მოხდა. ცენტრში და პირველ რიგში პეტროგრადში ძალაუფლება გადავიდა საბჭოების ხელში, მაგრამ ფრონტზე 12-მილიონიანი არმიის სათავეში კვლავ რჩებოდნენ კონტრრევოლუციურად განწყობილი გენერლები.

21 ნოემბერს (ძვ. სტ.) ღამის 2 საათიდან დილის 4½ საათამდე ლენინი და სტალინი მთავარი შტაბის შენობიდან პირდაპირი მავთულით აწარმოებდნენ მოლაპარაკებას მთავარსარდლის დუხონინის მთავარ ბანაკთან მოგილიოვში სამხედრო მოქმედებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და გერმანელებთან დროებითი ზავის დადებაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

ლენინმა და სტალინმა გადასწყვიტეს მიემართათ ჯარისკაცებისათვის მეთაურთა შემადგენლობის გვერდის ავლით და გამოეყენებინათ ამისათვის რადიო. დილის 4½ საათზე ისინი გაემგზავრნენ საზღვაო რადიოსადგურ „ახალ ჰოლანდიაში", სადაც მეზღვაური რადისტების საშუალებით გადასცეს ცნობილი რადიო: „ჯარისკაცებო! ზავის საქმე თქვენს ხელშია. თქვენ შესაძლებლობას არ მისცემთ კონტრრევოლუციონერ გენერლებს ჩაშალონ ზავის დიადი საქმე"[1] და სხვ.

1918 წლის ივლის-აგვისტოში იქმნება განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა სამხრეთის ფრონტზე, რომლის ცენტრიც ცარიცინი იყო. სამხრეთის ფრონტი და ცარიცინი გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ მთელი ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში.

აფასებდა რა სამხრეთის ფრონტის და კერძოდ ცარიცინის დიდ მნიშვნელობას, აგრეთვე ითვალისწინებდა რა მდ. ვოლგის მნიშვნელობას, რომელიც სამხრეთის კონტრრევოლუციას აღმოსავლეთის კონტრრევოლუციისაგან აშორებდა, და იმ მნიშვნელობას, რომელიც ჩვენთვის კასპიის ზღვას ჰქონდა, ამხანაგმა სტალინმა აქვე გადასწყვიტა, რომ ამ ობიექტების დიდი მნიშვნელობა მოითხოვს მათზე სამდინარო და საზღვაო შეიარაღებულ ძალთა შექმნას და რომ მხოლოდ ფლოტილიების შემწეობით შეიძლება ამ უბნების წარმატებით დაცვა. ამხანაგი სტალინი სწერს ლენინს შემდეგ წერილს:

> „ძვირფასო ამხ. ლენინ! სწარმოებს ბრძოლა სამხრეთისათვის და კასპიის ზღვისათვის. მთელი ეს რაიონი რომ შევინარჩუნოთ (ხოლო იგი შეიძლება შევინარჩუნოთ!), საჭიროა გვქონდეს მსუბუქი ტიპის რამდენიმე ნაღმოსანი და ორიოდე წყალქვეშა ნავი. გთხოვთ დაამსხვრიოთ ყველა დაბრკოლება და მით შეამსუბუქოთ—დასძრათ წინ საქმე, რომ დაუყოვნებლივ მივიღოთ ის, რასაც მოვითხოვთ. ბაქო, თურქესტანი, ჩრდილოეთ-კავკასია ჩვენი იქნება (აუცილებლად!), თუ დაუყოვნებლივ შესრულდება ჩვენი მოთხოვნები. ჩვენი საქმე ფრონტზე კარგად მიდის. ეჭვი არ მეპარება, რომ კიდევ უფრო უკეთ წავა (ყაზახობა საბოლოოდ იხრწნება). ხელს ვართმევ ჩემს ძვირფას და საყვარელ ილიჩს. თქვენი **სტალინი**"[2].

ვ. ი. ლენინმა, ამხანაგ სტალინის წერილი რომ მიიღო, იქიდან ამოშალა ის, რაც პირადად მას შეეხებოდა, ტექსტის ქვეშ თვითონ მოაწერა ხელი, შესცვალა მისამართი და იმ დღესვე გასცა ბრძანება გაეგზავნათ ტელეგრაფით პეტროგრადში დაუყოვნებლივ შესასრულებლად.

ლენინი და სტალინი ერთად სწყვეტდნენ ვოლგის, ცარიცინის, ასტრახანის დაცვისა და კასპიისათვის ბრძოლის საკითხებს.

1919 წლის აპრილის მეორე ნახევარში ფინეთიდან საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოყვანილ იქნა ეგრეთწოდებული „ოლონეცის მოხალისეთა არმია". ჩრდილოეთიდან პეტროზავოდსკს უტევდნენ ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ნაწილები და რუსი თეთრგვარდიელები. აპრილის დამლევიდან აქტიური ოპერაციები გაიჩაღა ინგლის-ესტონეთის ფლოტმა.

ინგლის-ესტონეთის ფლოტის მიერ დაწყებული შეტევა ბალტიის წითელი ფლოტის მედგარ წინააღმდეგობას ხვდება. მაისის შუა რიცხვებში ჩვენს ნაღმებზე აფეთქდა ინგლისის კრეისერი. 18 მაისს საესკადრო ნაღმოსანი „გავრიილი" ჩაება უთანასწორო ბრძოლაში ინგლისის 4 საესკადრო ნაღმოსანთან. ინგლისის ოთხმა საესკადრო ნაღმოსანმა ვერა გააწყო რა ერთ საბჭოთა საესკადრო ნაღმოსანთან. 31 მაისს საესკადრო ნაღმოსანი „აზარდი" სახაზო გემის „პეტროპავლოვსკის" არტილერიის ცეცხლის დახმარებით გმირულად ებრძვის ინგლისის 8 საესკადრო ნაღმოსანს. 4 ივნისს საესკადრო ნაღმოსნებმა „აზარდმა" და „გავრიილმა" ინგლისის სამ საესკადრო ნაღმოსანთან ბრძოლის დროს ჩასძირეს ინგლისის წყალქვეშა ნავი „I—55".

მხედველობაში აქვს რა ეს წარმატებითი ოპერაციები, ამხანაგი სტალინი ბალტიის ფლოტის საბრძოლო საქმიანობას აფასებს, როგორც საბჭოთა ფლოტის აღორძინების ფაქტს.

როდესაც ბალტიის წითელი ფლოტის ხომალდები გმირულად ებრძოდნენ ინგლის-ესტონეთის ფლოტის ხომალდებს, ჩვენი ნაწილების ზურგში 13 ივლისს ესერებისა და თეთრგვარდიების აგიტაციის გავლენით, რომლებიც ანტანტის პირდაპირი მითითებით მოქმედებდნენ, იფეთქა ამბოხებამ ფორტ „კრასნაია გორკაზე". იქ მყოფი კომუნისტები, მათ შორის კრონშტადტის საბჭოს თავმჯდომარე მარტინოვი, კომუნისტთა რაზმის მეთაური, კრონშტადტელ მატროსთა, წითელარმიელთა და მუშათა საყვარელი სტეფანე გრედიუშკო, იჟორის რკინიგზის კომისარი მიტროფანოვი, საველე ტრიბუნალის გამსვლელი სესიის თავმჯდომარის მოადგილე, სახაზო გემის „რესპუბლიკის" მატროსი ნიიმე და სხვები —სულ 275 კაცი დააპატიმრეს და მხეცური წამების შემდეგ დახვრიტეს.

„კრასნაია გორკას" დაკავებით თეთრები ვარაუდობდნენ კრონშტადტის გასაღების ხელში ჩაგდებას და ამბოხების დაწყებას სხვა ფორტებზეც, ხოლო შემდეგ საზღვაო ფორტებისა და ფლოტის ხომალდების შორს-მსროლელი არტილერიით პეტროგრადისათვის ყუმბარების დაშენას, „რათა ფრონტზე საერთო შეტევა საერთო არევდარევის მომენტში შეეერთებინათ ამბოხებასთან პეტროგრადში, ალყა შემოერტყათ და დაეპყროთ პროლეტარული რევოლუციის კერა,—აი როგორი იყო მოწინააღმდეგის ვარაუდი",— ამბობს ამხანაგი სტალინი.[3]

ბალტიის ფლოტის მეზღვაურებს არ შეეძლოთ დაეშვათ, რომ მათი მშობლიური ფორტები „კრასნაია გორკა" და „სერაია ლოშადი" თეთრგვარდიელთა ხელში ყოფილიყვნენ.

ამხანაგ სტალინის მითითებით 3-5 საათის შემდეგ კრონშტადტიდან და პეტროგრადიდან „კრასნაია გორკას" ფრონტზე გაემგზავრა რამდენიმე ათასი მატროსი.

ამხანაგ სტალინის გადამწყვეტი ჩარევით, წინააღმდეგ საზღვაო „სპეციალისტების" ნებასურვილისა, ზღვიდან „კრასნაია გორკასათვის" ყუმბარების დასაშენად გარეთა რეიდზე გაყვანილ იქნენ სახაზო გემები „პეტროპავლოვსკი", „ანდრეი პერვოზვანი", კრეისერი „ოლეგი", საესკადრო ნაღმოსნები „ვსადნიკი" და „გაიდამაკი", რომლებიც მიმოდიოდნენ ნაპირის გასწვრივ და თავისი ყუმბარებით ანადგურებდნენ ამბოხებულ ფორტს და თეთრების პოზიციებს.

ამხანაგი სტალინი პირადად ჩავიდა ფრონტზე. ორანიენბაუმში პაროხოდნაია ქუჩაზე № 5 მოთავსებულ სანაპირო ჯგუფის შტაბიდან ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა ამბოხებული ფორტის წინააღმდეგ შეტევას ხმელეთიდან და ზღვიდან. სოფელ ბოლშიე ბორკის რაიონში იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბრძოლას. ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „კრასნაია გორკას" დაპყრობისას. „კრასნაია გორკას" დაპყრობის შემდეგ იქ მაშინვე მივიდა ამხანაგი სტალინი. მისი დასწრებით ჩატარდა მიტინგი ფორტში შესული სანაპირო ჯგუფის ნაწილების მებრძოლებთან.

„კრასნაია გორკას" აღების შემდეგ ამხანაგი სტალინი უგზავნის ლენინს დეპეშას:

„კრასნაია გორკას" შემდეგ ლიკვიდირებულია „სერაია ლოშადი", ქვემეხები იქ სრულ წესრიგშია..."

ამ დეპეშაში, ეხება რა საზღვაო „სპეციალისტების" თვალსაზრისს ფორტ „კრასნაია გორკას" წინააღმდეგ შეტევის საშუალებათა საკითხზე, ამხანაგი სტალინი ამბობს:

> „საზღვაო სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ „კრასნაია გორკას" აღება ზღვიდან თავდაყირა აყენებს მთელ საზღვაო მეცნიერებას. მე მხოლოდ დამრჩენია გამოვიტირო ეგრეთწოდებული მეცნიერება, „გორკას" სწრაფად აღება აიხსნება ჩემი და საერთოდ სამოქალაქო პირების ფრიად უხეში ჩარევით ოპერატიულ საქმეში, რაც ხშირად მიდიოდა ზღვისა და ხმელეთისადმი გაცემული ბრძანებების გაუქმებამდე და საკუთარი ბრძანებების თავზე მოხვევამდე. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე შემდეგშიც ასე ვიმოქმედებ, მიუხედავად მთელი ჩემი მოწიწებისა მეცნიერების წინაშე"[4].

1919 წელს პეტროგრადისა და სამხრეთის ფრონტებზე საბრძოლო დამსახურებისათვის ამხანაგი სტალინი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

○

სამოქალაქო ომი დამთავრდა. პარტიის, მთავრობისა და მთელი ხალხის წინაშე დადგა საკითხი წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერების აღდგენის შესახებ. ჩვენი პარტიის X ყრილობამ წითელი ფლოტის აღდგენის საკითხზე მიიღო სპეციალური და ვრცელი რეზოლუცია, რომელშიაც ხაზგასმულია, რომ „საბჭოთა რესპუბლიკის საერთო მდგომარეობისა და მატერიალური რესურსების შესაბამისად მიღებულია ზომები წითელი საზღვაო ფლოტის აღდგენისა და განმტკიცებისათვის".

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ჩვენი წითელი ფლოტი ძლიერ განვითარდა. სტალინურმა მზრუნველობამ ფლოტზე განსაკუთრებული შედეგები მოგვცა. ამ ხნის განმავლობაში ამხანაგ სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის, თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ ვოროშილოვის ხელმძღვანელობით ფლოტი გაიზარდა და მან მიაღწია მაღალ მაჩვენებლებს თავისი პოლიტიკური, ტექნიკური და ოპერატიულ - ტაქტიკური სრულყოფის საქმეში. ფლოტმა გაიარა თავისი განვითარების ყველა სტადია—გემების ნაწილობრივი რემონტიდან ახალი გემთმშენებლობის ფართო პროგრამამდე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა დიდი წარმატებით ახორციელებს.

„მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს მისი ინტერესების შესაფერი საზღვაო და საოკეანო ფლოტი, რომელიც ჩვენი დიადი საქმის ღირსი იქნება" (მოლოტოვი).

ასე, განუწყვეტლივ, კომუნისტური პარტიის, ამხანაგების ლენინისა და სტალინის და მათი საუკეთესო თანამებრძოლების — ამხანაგების მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ჟდანოვის და სხვ. უშუალო ხელმძღვანელობით იქმნება, იზრდება და მტერთა თავზარდასაცემად მტკიცდება მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც ჩვენზე თავდასხმის შემთხვევაში მტერს მისსავე ტერიტორიულ წყლებში გაანადგურებს.

---

[1] ლენინი, ტომი XXII, გვ. 73.

[2] ჟურნალი „ბოლშევიკი", 1938 წ. № 2, გვ. 70.

[3] ვოროშილოვი, „სტალინი და წითელი არმია", გამ. მე-2, 1937 წ. გვ. 101.

[4] ვოროშილოვი, „სტალინი და წითელი არმია", გამ. მე-2, გვ. 20.

ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის საკითხი

ნიუ-იორკი, 21 ივლისი (საკდესი). ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ თუ ევროპაში ომი მოხდა, მაშინ რუზველტი მოიწვევს კონგრესის სპეციალურ სესიას ნეიტრალიტეტის კანონის გადასასინჯავად. ჰფიქრობენ, რომ კონგრესის არდადეგებისათვის დათხოვნის შემდეგ რუზველტი აგვისტოს დამდეგს დაიწყებს ტრანსკონტინენტურ მგზავრობას, რომლის დროსაც სიტყვებს წარმოსთქვამს კერძოდ, საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, იმ მიზნით, რომ გააძლიეროს მოძრაობა ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის სასარგებლოდ.

საგარეო საქმეთა სენატის კომისიის თავმჯდომარემ პიტმენმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ, თუ „ჰიტლერი დააჩქარებს ომის გაჩაღებას ევროპაში“, ხოლო გერმანიის თვითმფრინავები ყუმბარებს დაუშენენ ქალაქის მოსახლეობას, მაშინ ამერიკის საზოგადოებრიობა იძულებულს გახდის კონგრესს დაუყოვნებლივ გადასინჯოს თავისი პოლიტიკა ნეიტრალიტეტის საკითხში.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ რუზველტის დამარცხება ნაწილობრივ აიხსნება შინაური მიზეზებით, რასაც დამოკიდებულება არა აქვს ევროპაში არსებულ მდგომარეობასთან. გაზეთი აფრთხილებს გერმანიასა და იტალიას, რომ ამჟამად, ისე როგორც 1917 წელს, ომი შეეხება ამერიკის უმნიშვნელოვანეს ინტერესებს. შორი მანძილი ვერ შესძლებს ამერიკის შეერთებული შტატების იზოლირებას საყოველთაო ომის შედეგებისაგან. ამიტომ, მიუხედავად ზოგი რამ უნდობლობისა და შესწორებისა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკის მიმართ, ამერიკელებს შეგნებული აქვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დახმარება უნდა აღმოუჩინოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ (რესპუბლიკური) მკაცრად ჰგმობს იმ პოზიციას, რომელიც რესპუბლიკელებმა სენატში დაიკავეს. გაზეთი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუზველტის მოწინააღმდეგეთა გამარჯვება არის დროებითი და აიხსნება წმინდა შინაური მიზეზებით.

ამერიკის სხვა გაზეთებიც ამნაირ კომენტარიებს უკეთებენ კონგრესის გადაწყვეტილებას. მრავალი გაზეთი მოაგონებს მკითხველს, რომ ოპოზიციონერ რესპუბლიკელთა ანალოგიურმა მოქმედებებმა ხელი შეუშალეს ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაციას და ამერიკის შეერთებული შტატების ერთა ლიგაში შესვლას. რესპუბლიკელებმა მაშინ გამოიყენეს იზოლაციონური ლოზუნგები იმისათვის, რომ დაემარცხებინათ ვილსონი და დემოკრატიული ხელმძღვანელობა პრეზიდენტ ჰარდინგის რეაქციული ხელმძღვანელობით შეეცვალათ.

მდგომარეობა დანციგში

პარიზი, 21 ივლისი (საკდესი). საფრანგეთის საღამოს გაზეთებმა 20 ივლისს გამოაქვეყნეს ვარშავიდან მიღებული დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ დანციგის პოლიცია შეუდგა ტანკსაწინააღმდეგო ხლართების მოწყობას, რომლებიც ხელს შეუშლის ტანკების გავლას პოლონეთ-დანციგის საზღვარზე. ცოპოტის მახლობლად ამ ხლართებს აკეთებენ გერმანიის საინჟინრო ჯარის ნაწილები.

დანციგში სატვირთო მანქანებით მიიტანეს 20 საზენიტო ქვემეხი.

○

ლონდონი, 21 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ბუძივიცში, დანციგის საზღვარზე, გერმანელმა ფაშისტებმა სროლა აუტეხეს პოლონეთის საბაჟოს მოხელეს. ამასთან დაკავშირებით მოელიან, რომ პოლონეთის მთავრობა გაფრთხილებას მისცემს დანციგის სენატს. „ოფიციალურ წრეებში,—სწერს სააგენტო,—ამ ინციდენტს უაღრესად სერიოზულ ინციდენტად სთვლიან. ჰფიქრობდენ, რომ პოლონეთი გადამწყვეტ გაფრთხილებას მისცემს დანციგის სენატს და აღნიშნავს, თუ რა სერიოზული შედეგები მოჰყვება ასეთი ინციდენტის განმეორებას“.

○

ვარშავა, 21 ივლისი (საკდესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გუშინ 9 საათსა და 30 წუთზე დანციგის საბაჟოს მოსამსახურე და ორი მოიერიშე გადავიდნენ პოლონეთ-დანციგის საზღვარზე სანაპირო ნიშნის „16“-ის მახლობლად და გაემართნენ პოლონეთის ტერიტორიის შიგნით. როდესაც პოლონელი მესაზღვრე შეეცადა მათ დაკავებას, საზღვრის დამრღვევებმა მოჰკლეს იგი და დანციგის მხარეზე დაბრუნდნენ.

ნორვეგიის გაზეთი ნიუ-იორკის გამოფენის საბჭოთა პავილიონის შესახებ

ნორვეგიის გაზეთმა „არბაიდერბლადეტმა“ გამოაქვეყნა თავისი ნიუ-იორკელი კორესპონდენტის სტატია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილი საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონის შესახებ. კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს პავილიონის განყოფილებებს, აღტაცებულია მისი შინაგანი და გარეგნული გაფორმებით და დასასრულ შემდეგ დასკვნამდე მიდის: „საბჭოთა პავილიონს სიმხნევე, სიცხადე და ოპტიმიზმი ახასიათებს. მას უფრო მეტი ხალხი ნახულობს, ვიდრე სხვა რომელიმე პავილიონს, და ეს მოწმობს, თუ რამდენად დიდი ინტერესი გამოიწვია მან. ამერიკას ახლა უიმედობა და პესიმიზმი ემჩნევა. ამიტომ მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მთელი საბჭოთა პავილიონის დამახასიათებელი რწმენა თავისი საკუთარი ძალებისადმი და გაბედული შემოქმედებითი ენერგია. მას, უეჭველია, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ერთად აღებულ ყველა დანარჩენ პავილიონს“.

21 ივლისი (საკდესი).

დოდეკანეზი
(ცნობა)

უკანასკნელ ხანებში ინგლისისა და თურქეთის გაზეთების ფურცლებზე ათავსებენ ცნობებს, რომლებიც მოწმობს, რომ იტალია გაცხოველებით ამაგრებს დოდეკანეზის კუნძულებს. გაზეთები სერიოზულ შეშფოთებას გამოსთქვამენ იტალიის ამ ღონისძიებათა გამო, რადგან ეს ღონისძიებანი საშუალებას აძლევენ მას კონტროლი გაუწიოს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის აუზს.

სპორადის არქიპელაგის 12 კუნძული ეგეის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შეადგენს ეგრეთწოდებულ დოდეკანეზს (ბერძნული სიტყვაა, რაც „12 კუნძულს“ ნიშნავს). ესენი არიან ერთმანეთთან ახლომდებარე კუნძულები: პატმოსი, ლიფსოსი, ლეროსი, კალიმნოსი, კოსი, ნისიროსი, ასტიპალია, სიმი, კასოსი ტილოსი, კალკი და კარპატოსი.

ამ კუნძულებზე ცხოვრობს 79 ათასი სული (1936 წლის ცნობები), უმთავრესად ბერძნები, რომლებიც მევენახეობას ეწევიან. დოდეკანეზის ადმინისტრატიული ცენტრია ქალაქი როდოსი, რომელიც ამავე სახელწოდების კუნძულზე მდებარეობს.

კუნძულები წინათ თურქეთს ეკუთვნოდა, მაგრამ 1912 წლის იტალია-თურქეთის ომის დროს იტალიამ მოახდინა დოდეკანეზისა და კუნძულ როდოსის ოკუპაცია. ეშინოდა რა იტალიის პოზიციების გაძლიერებისა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ აუზში, ინგლისმა მაშინ მიაღწია იმას, რომ იტალიამ განაცხადა, ოკუპაციას დროებითი ხასიათი აქვსო. მაგრამ სევრის ხელშეკრულებით (1920 წელს), თურქეთმა იტალიას დაუთმო ყველა უფლება დოდეკანეზსა და როდოსზე. 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებამ კვლავ დაადასტურა იტალიის სუვერენიტეტი ამ კუნძულებზე.

ფაქტიურად დოდეკანეზზე დღევანდლამდე დარჩა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი. კუნძულების გუბერნატორს, რომელსაც ნიშნავს იტალიის მეფე, შეუზღუდველი უფლებები აქვს მინიჭებული.

იტალია ფართოდ სარგებლობს დოდეკანეზის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით, რათა კონტროლი გაუწიოს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ აუზსა და ეგეის ზღვას. აქ შექმნილია დიდი საავიაციო და საზღვაო ბაზები, რაც საფრთხეს უმზადებს ინგლისისა და საფრანგეთის სტრატეგიულსა და სავაჭრო გზებს, რომლებიც ამ ქვეყნებს აკავშირებენ მათს კოლონიებსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

განსაკუთრებით მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში იტალიის მიერ ალბანეთის დაპყრობის შემდეგ. იტალიას, თავისი ბაზების —ბარის, ბრინდიზისა და ტარანტოს გარდა, ახლა ხელთა აქვს, აგრეთვე ალბანეთის ნავსადგურები ვალონა და დურაცო. ლიბიაში მდებარეობს იტალიის ბაზები ბენგაზსა და ტობრუკში. მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიდი საავიაციო და საზღვაო ბაზები დოდეკანეზზე (ლეროსზე) და როდოსზე. ამ ბაზების დახმარებით იტალია ისწრაფვის საფრთხე შეუქმნას ინგლისის ბაზებს ალექსანდრიაში, პორტ-საიდში, ფამაგუსტსა და ჰაიფაში, აგრეთვე ეგვიპტის სანაპიროებზე.

როგორც ამას წინათ ინგლისის გაზეთი „დეილი ჰერალდი“ იუწყებოდა, როდოსზე 45 ათასი იტალიელი ჯარისკაცი იმყოფება. დოდეკანეზის თვითეულ დანარჩენ კუნძულზე 800-დან 1.500-მდე ჯარისკაცი იმყოფება. ლეროსის კუნძულებზე შექმნილია საავიაციო ბაზა და წყალქვეშა ნავების ბაზა.

გერმანია აქტიურ მონაწილეობას იღებს დოდეკანეზის გამაგრებაში. გაზეთი „დეილი ჰერალდი“ 11 ივლისს სწერდა, გერმანიის გემებს განუწყვეტლად მიაქვთ საომარი საჭურველი დოდეკანეზის ერთერთი კუნძულის ნავსადგურ მადრაკჩიოში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ნავსადგურში იტალიის 16 გემი იმყოფება, მათ შორის უახლესი ტიპის 7 წყალქვეშა ნავია. ლეროსისა და პატმოსის კუნძულების სამოქალაქო მოსახლეობა სხვა კუნძულებზე გადაჰყავთ. ამ კუნძულებიდან ღამით ბევრი ადგილობრივი მცხოვრები ნავებით გარბის თურქეთში.

იტალიის სამხედრო მზადება დოდეკანეზზე სერიოზულ შიშს იწვევს ამ კუნძულთა უახლოეს მეზობლებში—საბერძნეთსა და თურქეთში.

21 ივლისი. (საკდესი).

ჩინელი პარტიზანები შანდუნის პროვინციაში

შანდუნის პროვინციაში პარტიზანები დიდ ზიანს აყენებენ იაპონიას. ჩინელ პარტიზანთა ერთერთ რაზმში, სწერს ჟურნალი „ჩაინა ეტ უორ“ ითვლება 10 ათასი მებრძოლი. ამ რაზმს მეთაურობს პოლკოვნიკი ჯენ ვი-ჰინი. უკანასკნელი 13 თვის განმავლობაში პოლკოვნიკ ჯენის რაზმებს 100-ზე მეტი ბრძოლა მოუხდათ იაპონელებთან. ამ ბრძოლებში იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს დაახლოებით 3 ათასი კაცი.

იაპონელებმა არაერთხელ სცადეს პარტიზანული რაზმების ლიკვიდირება. გაიგეს რა თავიანთი დაზვერვის საშუალებით, რომ ცენტრალური შანდუნის მთების ერთერთ კალთაზე პარტიზანების ბაზაა მოთავსებული, იაპონელებმა გაგზავნეს იქ დიდი სამხედრო ნაწილი, რომელსაც ებრძანა „გაეწმინდათ“ რაიონი პარტიზანებისაგან. ამ სექტორში მოქმედ პარტიზანთა რაზმს თავის განკარგულებაში მხოლოდ 700 შაშხანა ჰქონდა. რაზმის სარდლობა დიდხანს ჰფიქრობდა, თუ როგორ შეეჩერებინა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იაპონელები. პარტიზანებმა მეტად მოხერხებული ხრიკი იხმარეს. იმ ადგილის მახლობლად, სადაც რაზმი იმყოფებოდა, ძველებური ზარბაზნები იდგა, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში გაკეთებული, პარტიზანებმა გასტენეს ეს ზარბაზნები და იწყეს სროლა. ამ ზარბაზნებს დიდი ზარალი არ მიუყენებიათ იაპონელებისათვის, მაგრამ სროლა ისეთი ძლიერი გრიალით სწარმოებდა, რომ იაპონელებმა გადასწყვიტეს, ჩინელებს დიდი არტილერია აქვთო და უკან დაიხიეს.

21 ივლისი (საკდესი).

მოკლე ცნობები
(საკდესის მასალების მიხედვით)

⊙ 19 და 20 ივლისს ბერლინში სწარმოებდა მოლაპარაკება გერმანიისა და უნგრეთის მრეწველობის წარმომადგენელთა შორის. მოლაპარაკება ეხებოდა ორივე ქვეყანას შორის საქონელბრუნვის გადიდების საკითხს. მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება.

⊙ 4 აგვისტოს საზაფხულო არდადეგებისათვის დათხოვნილი იქნება ინგლისის პარლამენტი. ფიქრობენ, რომ პარლამენტს ხელახლა 19 ან 20 სექტემბერს მოიწვევენ.

⊙ ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალი, ადმირალი კენინგჰემი გემ „უორსპაიტით“ აგვისტოში ეწვევა სტამბოლს. იგი სმირნასაც შეივლის.

⊙ იტალიის ფაშისტმა „დეპუტატთა პალატამ“ მიიღო ახალი კანონი, რომლითაც იქმნება „ბრმა მეთვალყურეთა“ კორპუსი. მისი დანიშნულებაა დროზე და ზუსტად გაიგონოს მოახლოებული თვითმფრინავის ხმა. კორპუსში გაწვეული იქნებიან ბრმები 18-დან 50-მდე წლის ასაკისა.

უკანასკნელი ცნობები

ჩინეთის საზოგადოებრიობის მადლობა საბჭოთა მსახიობებსა და რადიო-მუშაკებს

ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი საელჩოს საშუალებით მოსკოვში ჩინეთის საზოგადოებრიობის დიდი მადლობა გადასცა იმ რადიოკონცერტის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს, რომელიც 7 ივლისს ჩინეთისათვის ტრანსლირებულ იქნა მოსკოვიდან. საელჩოს წერილში ნათქვამია, რადიო კავშირის ზუსტი ორგანიზაციის მეოხებით სმენადობა ჩინეთში ძალიან კარგი იყო. (საკდესი).

მდგომარეობა დანციგში

ვარშავა, 22 ივლისი (საკდესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტო (პატ) იუწყება, რომ პოლონელი მესაზღვრის მოკვლასთან დაკავშირებით, პოლონეთის სანაპირო ხელისუფალთ მიიღეს განკარგულება მიჰმართონ იარაღს პოლონეთ-დანციგის საზღვრის დარღვევის ყოველივე ცდის დროს.

პოლონეთის გენერალურმა კომისარმა დანციგში სასტიკი პროტესტი განუცხადა „თავისუფალი ქალაქის“ სენატს პოლონელი მესაზღვრის მოკვლასთან დაკავშირებით და ოფიციალურად აცნობა სენატს, რომ პოლონეთის სანაპირო ხელისუფალთ მიღებული აქვთ განკარგულება მიჰმართონ იარაღს საზღვრის დარღვევის ყველა შემთხვევაში. ამასთანავე დანციგის სენატს გადაეცა მეორე პროტესტი იმის გამო, რომ დანციგის პოლიციამ დააკავა პოლონეთის დანციგის გენერალური კომისარიატის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელი.

წუხელ დანციგის საბაჟოს მოხელემ დაარღვია პოლონეთის საზღვარი დაბა ლაპინოს (კარტუზის მაზრა) მახლობლად, საზღვრის დამრღვევი დაპატიმრებულია.

მიწისძვრის ბიძგები გერმანიაში

ბერლინი, 22 ივლისი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ რეინის ოლქში აღინიშნა მიწისძვრის ბიძგები. ბიძგები 6 წამს გაგრძელდა და მათ თან ახლდა მიწისქვეშა გუგუნი. ბიძგისაგან ზოგიერთ ადგილას სახლების კედლები ირყეოდა.

ინგლისის წყალქვეშა ნავის „ტეტისის“ ამოღება

ლონდონი, 22 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით ზღვის ფსკეროდან ამოიღეს ინგლისის წყალქვეშა ნავი „ტეტისი“, რომელიც ამას წინათ ჩაიძირა. მაგრამ მაშველი გემის ცდა ნაპირისაკენ წაეყვანა წყალქვეშა ნავი უშედეგოდ დამთავრდა.

21 ივლისს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობაში გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი ლ. პ. ბერიას წიგნისადმი — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. **სურათზე:**—გამოფენის ერთერთი კუთხე.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნისადმი მიძღვნილი გამოფენა

21 ივლისს, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობაში გაიხსნა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი გამოფენა, მიძღვნილი ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** შრომისადმი—„ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. გამოფენის გახსნის დღე დაემთხვა ამ წიგნის გამოსვლის ოთხი წლისთავს.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ვეებერთელა შენობის ორ დარბაზში დოკუმენტებითა და ისტორიული მასალებით, ფოტო-სურათებით ილუსტრირებულია ბოლშევიზმის მატიანეში ძვირფასი განძის, ამხანაგ ლ. პ. ბერიას შრომის „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—თვალწარმტაცი ფურცლები.

ყოველი მნახველი დიდი სიყვარულით და გატაცებით ათვალიერებს თვითეულ დოკუმენტს, თვითეულ მასალას, რომელიც ცხადად მოგვითხრობს სტალინისა და მისი თანამებრძოლების შეუდრეკელ ბრძოლაზე ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის, ლენინურ - ისკრული პოზიციების გამარჯვებისათვის.

გამოფენა იხსნება მხატვარ კროტკოვის სურათით: საქართველოს ხალხის საუკეთესო შვილი ამხანაგი **ლ. პ. ბერია** მოხსენებით გამოდის თბილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წლის 21 ივლისს; ამ კრებაზე ოთხი წლის წინათ ამხანაგმა ბერიამ გააკეთა თავისი მოხსენება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც ბოლშევიზმის მატიანეში უძვირფასესი განძის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მოხსენებით ამხანაგმა ბერიამ მეცნიერულ რელსებზე დააყენა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლა და გაანადგურა ყოველი ჯურის ფალსიფიკატორები.

რომელ ერთ მასალაზე გინდათ თქვენი ყურადღება შეაჩეროთ, ყველა ერთნაირად გიპყრობთ და გიტაცებთ. საქმისადმი დიდი სიყვარულითა და მონდომებითაა შესრულებული თვითეული სამუშაო. გამოფენის თვითეული დოკუმენტი ნათლად ღაღადებს, რომ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“. (ლ. ბერია).

გამოფენის დოკუმენტები მოგვითხრობენ იმ დიად მეგობრობაზე, რომელიც არსებობდა ლენინსა და სტალინს შორის. მართალია, ლენინმა სტალინი პირადად გაიცნო ტამერფორსის კონფერენციაზე, მაგრამ მანამდისაც იცნობდა მის თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას, რასაც ლენინი ყოველთვის აფასებდა, როგორც გენიალურს, ამის შესახებ არაერთი ძვირფასი დოკუმენტია გამოფენაზე.

შესანიშნავად შესრულებულ რუკაზე ნაჩვენებია ის ისტორიული ადგილები, სადაც 1894-1910 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა ამხანაგი სტალინი. მეორე რუკაზე ნაჩვენებია საქართველოს ის ქალაქები, დაბები და სოფლები, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი სტალინი 1879-1912 წლებში. მესამე რუკაზე აღნიშნულია სტალინის დაპატიმრებათა, გადასახლებათა და გამოქცევათა ადგილები 1902-1917 წლებში.

აქვეა გაზეთების—„ბრძოლის“, „პროლეტარიატის ბრძოლის“, „დროს“, „ახალი ცხოვრების“, „ბაკინსკი რაბოჩის“, „გუდოკის“ და სხვათა ნომრები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოდიოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. კედელზე „ბრძოლის“ პირველი ნომრის გვერდით დაკიდულია „ისკრის“ პირველი ნომერი, ლენინის ბროშურები და სტალინის მიერ დაწერილი წიგნები, პროკლამაციები და ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდნენ მუშათა კლასს გლეხობასთან ერთად ცარიზმის დამხობისაკენ.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი მასალები სტალინის უახლოესი თანამებრძოლების ლ. კეცხოველის, ს. წულუკიძის, კურნატოვსკის, ა. ჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

დასასრულ, მასალებში და დოკუმენტებში ნაჩვენებია ის დიდი რევოლუციური სკოლა, რომელიც გაიარეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ნაციონალ - უკლონიზმთან ბრძოლაში და, გაანადგურეს რა ნაციონალისტები და ნაციონალ - უკლონისტები, შეჰქმნეს და განამტკიცეს ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა. **„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) ლენინისა და სტალინის ნაციონალური პროგრამით შეიარაღებულებმა, დაამარცხეს და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტები, აღმართეს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ურღვევი შენობა“...** (ლ. ბერია).

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მიერ მოწყობილი ეს გამოფენა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ახალი, მძლავრი კერაა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვლენ მშრომელები ამ დოკუმენტების დასათვალიერებლად და შესასწავლად. ეს დოკუმენტები კიდევ უფრო ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაზე, რომელიც ასე დიდებულადაა დამუშავებული და გაშუქებული ამხ. **ლ. ბერიას** ძვირფას შრომაში—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სკოლათა ფართო ქსელს მომავალი სასწავლო წლიდან ემატება კიდევ ერთი სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. ეს არის თეატრალური ინსტიტუტი. იგი მოწოდებულია აღუზარდოს ჩვენს ქვეყანას უმაღლესი განათლებით აღჭურვილი სასცენო ხელოვნების სპეციალისტები — მსახიობნი, რეჟისორები და თეატრის მცოდნენი. მომავალ სასწავლო წელს ჩვენ მხოლოდ სამსახიობო ფაკულტეტი გვექნება, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ამას მოემატება სარეჟისორო და თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტი.

სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულია 120 მსმენელით. სწავლის კურსი 4-წლიანია. მეორე, მესამე და მეოთხე კურსები შევსებული იქნებიან რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების ყოფილ სტუდიელთაგან სპეციალური შერჩევით, ხოლო პირველ კურსზე ახალი მიღება იქნება. შემოსვლის მსურველებმა აშკარა სამსახიობო მონაცემები უნდა გამოამჟღავნონ სათანადო გამოცდის დროს, რაც 15 აგვისტოსათვის არის დანიშნული. მანამდე კი განცხადებები მიიღება ინსტიტუტის ბინაზე (რუსთაველის პრო. 23, მე-4 სართული).

სასწავლო გეგმა ვრცლად და საფუძვლიანად არის შედგენილი. იგი შეიცავს ოთხი განხრის დისციპლინებს: ა) საზოგადოებრივ - პოლიტიკური განათლების საგნებს, როგორიცაა: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, პოლიტეკონომია, საერთო ისტორია; ბ) ხელოვნების მცოდნეობის დისციპლინებს, როგორიცაა: მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი ხელოვნების შესახებ, თეატრის, ლიტერატურის, მუსიკის ისტორია, პლასტიკურ ხელოვნებათა ისტორია, ტანისამოსის ისტორია, რეჟისურა, დრამის ისტორია; გ) ზოგადი განათლების განხრით: ქართული, რუსული და უცხო ენები და ფსიქოლოგია; დ) სპეციალური დისციპლინების განხრით: სახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, ფიზიკური აღზრდა, რიტმიულობა, ცეკვები, ქორეოგრაფია, გრიმი და ფარიკაობა. ამის გარდა ჩატარებული იქნება ეპიზოდური ლექციები კულტურისა და ხელოვნების დარგიდან საჭიროებისდა მიხედვით. პედპერსონალი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ და მხატვრულ ძალთაგან შესდგება.

ამჟამად მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს სასწავლო წლის თავის დროზე (1 სექტემბერს) და ნორმალურად დაწყებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ჯეროვნად გამოიყენებს დიდი სტალინის მიერ მიძღვნილ კიდევ ერთ საუკეთესო ჯილდოს, რომლის წყალობით ჩვენს ქვეყანას და ხალხს შეემატება უმაღლესი ფართო სპეციალური თეორიული განათლებით და პრაქტიკული მომზადებით აღჭურვილი კადრები.

სოციალისტური კულტურის მშენებელი საბჭოთა არტისტი სრული შეიარაღებით უნდა წარსდგეს თავისი ხალხის წინაშე. იგი უნდა ჰფლობდეს კაცობრიობის მთელ კულტურას, როგორც ამას გენიოსი ლენინი გვასწავლიდა, ჩვენი არტისტი უნდა იბრძოდეს საბჭოთა ხელოვნების გაღრმავებისათვის, იმ ხელოვნების, რომლის დროშა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელოვნებათა დროშაზე მაღლა ფრიალებს მშრომელი კაცობრიობის უბრძნესი ბელადის—ჩვენი საყვარელი მასწავლებლის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ა. ფალავა

„აკაკის მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში“

დიდი ქართველი [illegible] „აკაკი წერეთლის“ დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესათვის [illegible] მხატვრულ - დოკუმენტურ ფილმს. ამ ფილმში მოცემული იქნება: ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია აკაკის სახელთან. ახალ ფილმში შეტანილი იქნება კინოსურათი „აკაკის მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში“, გადაღებული 1912 წლის ზაფხულში, აკაკის საიუბილეო მოგზაურობის დროს რაჭასა და ლეჩხუმში. ეს სურათი დაცულია საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში.

27 წელია, რაც გადაღებულია სურათი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, მაგრამ იგი საუკეთესოდ არის შენახული და სავსებით შესაძლებელია ასლების გადაღება. სურათს არ აქვს წარწერა, თუ ვისი გადაღებულია იგი, აქვს მხოლოდ სათაური და წარწერები ცალკე მომენტების განმარტებით.

ამ სურათის გადამღები ვასილ იაკობის-ძე ამაშუკელი, რომელიც ამჟამად ქუთაისში ცხოვრობს. იგი შემდეგს მოგვითხრობს სურათის გადაღების შესახებ:

„როცა გადაწყდა, რომ აკაკი გაემგზავრება რაჭასა და ლეჩხუმში, განვიზრახე ეს მოგზაურობა გადამეღო კინოსათვის. მაშინ მექანიკოსად ვმუშაობდი ქუთაისში, კინო „რადიუმში“ (ახლა კინო „კომუნა“). შეძენილი მქონდა გადასაღები აპარატი „გომონი“, მაგრამ არ გამაჩნდა თანხები ფირის დასაქირავებლად, რომ გავყოლოდი აკაკის მოგზაურობაში. მივმართე დახმარებისათვის კინო „რადიუმის“ გამგეს ასათიანს. მან აღმითქვა დახმარება იმ პირობით, თუ სურათს პირველად გავუშვებდი მის თეატრში. მე თანხმობა განვაცხადე და ამით გადაწყდა ჩემი გამგზავრების საკითხი.

აკაკის მოგზაურობა, როგორც ცნობილია, ქუთაისიდან დაიწყო. სურათის გადაღებას შევუდექი ჰომიდან. დავწინაურდებოდი ხოლმე, ამოვარჩევდი სათანადო ადგილს, მოვმართავდი აპარატს და ვიღებდი სურათს. ხანდახან აპარატს გავიწყობდი ეტლზე ან „ლინეიკაზე“ და ისე ვიღებდი სურათს.

მრავალი საინტერესო მომენტი აღვბეჭდე აფსკზე ნიკორწმინდაში, შაორში, ონში და სხვა ადგილებში. დიდებული სანახაობა იყო ფერხული ონის მიდამოებში, რომელიც გაიმართა აკაკის პატივსაცემად და ვცადე, რომ მხატვრულად გადმომეცა ეს სანახაობა.

დიდი სურვილი მქონდა გადამეღო ზემო-რაჭის დიდებული ბუნება და ვნატრობდი, რომ აკაკი გამგზავრებულიყო გლოლასა და ჭიორაში. ონში ჩამოვიდა გლოლელების და ჭიორელების დეპუტაცია, რომელმაც აკაკის მიართვა დახოცილი ჯიხვები და ირმები და სთხოვა ენახულა ზემო რაჭა. მაგრამ გზა ძნელი იყო და ამიტომ აკაკის გამგზავრება მთის რაჭაში არ შესდგა.

ქუთაისში დაბრუნებისას დავიწყე სურათის დამზადება. მაშინ ქუთაისში არსებობდა ვინმე ივანიცკის ატელიე და სურათი იქ გამოვამჟღავნე.

სპეციალური აფიშებით ემცნო საზოგადოებას, რომ კინო „რადიუმში“ წავა სურათი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ბილეთები 4-5 დღით ადრე გაიყიდა. კარგად აღარ მახსოვს, როდის შესდგა სურათის პირველი ჩვენება, დაახლოებით ეს იყო 30 აგვისტოს, ან 2 სექტემბერს (ძვ. სტ.).

პირველ სეანსს თვით აკაკი დაესწრო. სურათს ვუშვებდი მე. როცა ეკრანზე აკაკი გამოჩნდა, გაისმა ტაშის გრიალი, აკაკის გაუმართეს ოვაციები. გათავდა სეანსი. ხალხმა აკაკი ხელზე აყვანილი გამოიყვანა დარბაზიდან.

10 დღის განმავლობაში მიდიოდა სურათი ქუთაისში. ბილეთების შეძენა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან სურათის ნახვის მსურველი ბევრი იყო.

ილ. ხუციშვილი

„კოლმეურნის ქორწინება“ ზემო-სვანეთის თეატრში

ზემო-სვანეთის თეატრმა 20 ივლისს გახსნა საზაფხულო სეზონი. პრემიერად თეატრმა უჩვენა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. სპექტაკლი კარგად არის გაფორმებული. აღსანიშნავია, რომ მთელი დასი ახალგაზრდა სვან მსახიობებისაგან შესდგება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ვ. მარგიანი, მთავარ როლებს ასრულებენ: პ. დადვანი (კვატული), ვ. მარგიანი (ხარიტონი), ნ. ნიგურიანი (ლომკაცა), ტ. მარგიანი (გვირისტინე), შ. ხერგიანი (კეკელა), ვ. ქალდანი (ვატა), კ. რატიანი (ჯიბილო) და სხვები. სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო.

შორიგ პრემიერად თეატრი ამზადებს ა. ცაგარლის „ხანუმას“.

გ. ქოგალია

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სახესტრადის საზაფხულო თ ე ა ტ რ ი და ბ ა ღ ი
პლეხანოვის პროსპ. № 123. ტელ. 3-19-50

24 ი ვ ლ ი ს ს
დ ი დ ი საღამო — სეირნობა — კონცერტი
მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი

საზაფხულო თეატრი
მუდმივი ადგილ. ტალ. 57
ორდენოსანი არტისტის
იგორ ილინსკის გასტროლი
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

ღ ი ა ე ს ტ რ ა დ ა
ლენინგრადის რუსული სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის
კ ო ნ ც ე რ ტ ი
დასაწყისი საღ. 10 საათზე.

ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

საქ. სახ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი
აცხადებს ამავე ინსტიტუტის 1936 წლის 1 სექტემბრის შემდეგ კურს დამთავრებულთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 1 აგვისტოდან დაიწყება ერთიანი
დ ი პ ლ ო მ ე ბ ი ს
გაცემა, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული პირები დაუკავშირდნენ ინსტიტუტის კანცელარიას.
2567 ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. მ ე ს ხ ი.

თბილისის საბჭოს სავალდებულო დადგენილება
1939 წ. 11 ივლისი
ქ. თბილისში მწვანე ნარგავების მორწყვის დროის დაწესების შესახებ.

1. ქ. თბილისის და მისი გარეუბნებისათვის, ზაფხულის დროის განმავლობაში სასმელი და სარწყავი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკე მოქალაქეებს ეკრძალებათ მწვანე ნარგავების მორწყვა (ბაღები, პარკები, სკვერები, ბოსტნები და სხვ.) დღის საათებში.
2. ქ. თბილისში, ყოველგვარი მწვანე ნარგავების მორწყვა (ბაღები, სკვერები, პარკები, ბოსტნები და სხვ.) ა. წ. 20/VII-დან 15/IX-მდე უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ღამის საათებში, საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდე.
3. ის პირები, რომლებიც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევენ, ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებული იქნებიან 100 მანეთით.
4. ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებაზე მეთვალყურეობა ეკისრებათ ქ. თბილისის რაიონულ საბჭოებს, მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებს და თბილისის საბჭოს წყალკანალტრესტს.
5. სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 10 დღის გასვლის შემდეგ.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის
აღმსრულებელი კოჰლამაზაშვილი.
722 პასუხისმგებელი მდივანი ხეთაგუროვი.

მიღების პირობები თბილისის სამედიცინო დების მეორე სკოლაში და საბავშვო დაწესებულებათა დების სკოლაში 1939-40 სასწავლო წელს

1. სკოლას აქვს ორი სექტორი: ა) სამედიცინო დებისა და საბავშვო დაწესებულებათა დებისა. სკოლა ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სამედიცინო მუშაკებს: სამედიცინო დისა და საბავშვო დაწესებულებათა დის სახელწოდებით. სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი.
2. სკოლის კურსდამთავრებულთ სათანადო საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესით.
3. სკოლაში მიიღებიან სათანადო გამოცდების შემდეგ 15-დან 35 წლამდე ასაკის მქონე მდედრობითი სქესის მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება არანაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა.
4. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ა) მშობლიური ენა (წერა და ზეპირი), ბ) მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, არითმეტიკა), გ) ფიზიკა, გეოგრაფია და პოლიტცოდნა.

შენიშვნა: უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, საშუალო სკოლის (ათწლედის) კურსდამთავრებულნი, მუშფაკ და ტექნიკუმ დამთავრებულნი.

5. განცხადების მიღება სწარმოებს ყოველდღე, გარდა დასვენების დღეებისა, ა.-წ. 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე საღამოს 7 საათიდან ღამის 10 საათამდე.
6. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), წლოვანების მოწმობა, ჯანმრთელობის და ორი ცალი ფოტოსურათი გადაღებული უქუდოდ ზომით 3X4 და შემოწმებული.
7. მისაღები გამოცდები დაიწყება 10-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 26 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება ზუსტად 1 სექტემბერს.

8. სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. სკოლას საერთო საცხოვრებელი არა აქვს.
9. **მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. № 19.**

№ 266 სკოლის დირექცია

თბილისის მაკარონის ფ ა ბ რ ი კ ა ს
(ნავთლუღი, თბილისოფმრეწვის ქუჩა)
ესაჭიროება მუშები და მუშა ქალები
პირობები შეთანხმებით.
2562

მიხაკო და დიმიტრი ოჯახობით, ანიჩკა და ალექსანდრა მგელაძეები იუწყებიან საყვარელ
გინა ნიკოლოზის-ასულ
ბერიძე-გოგიტიძის
გარდაცვალებას. 2560

მანია კაზუმოვა, ქეთო სიხარულიძე, კაკალა ბარამიძე, ნადია გაგნიძე, ვერიკო მაცაშვილი, ნუნუ კანდელაკი, შამუკა კაზუმოვი, დავით ციცქაძე იუწყებიან ძვირფასი მეგობრის
ვახტანგ ბერიკაშვილის
გარდაცვალებას.

მშობლები სიმონ, ლიდა, ძმა აპოლონ, დები თამარ, მარო გოცირიძეები, სიძეები ა. მესხი, თ. შავლაძე იუწყებიან
გიგლა (გრიგოლ) გოცირიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/VII, 5 ს. მე-2 საავადმყოფოდან (ყ. ალექსანდროვის). 2569

ძმა რუბენ გოგიტიძე ცოლშვილით, რძალი ეკა გოგიტიძე შვილებით, დისწულები ჩიგოგიძეები იუწყებიან საყვარელ
ელენე ნიკოლოზის-ასულ
გოგიტიძე-თაყაიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/VII, ს. ლიხაურში. 2568

ამხანაგები აბასთუმნიდან ი. ლოლაძე, მ. კაზუმოვი, გ. მაჩხანელი, ა. აბულაშვილი, ბ. რამიშვილი, შ. თევზაძე, ა. მოდებაშვილი, ა. ჯავახიძე, კ. ბარამოვი, ჭ. მორჩაძე, შ. გრძელიშვილი, ა. ვახტანგოვი, პ. შესტაკოვიშვილი, ი. ავაქიძე, ს. გოდერძიშვილი, ი. ოქრობოვი, შ. მუმლაძე იუწყებიან
ვახტან ბერიკაშვილის
გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.